გარდა ამისა, დასტურდება არქაული ბეჭიტური მეტსახელები - პატრიარქონიმები⁵, რომლებიც ოჯახის უფროსს ერქმეოდა, ხოლო ამ უკანასკნელს დაერთვოდა სპეციალური სუფიქსები ოჯახის დანარჩენ წევრთა აღსანიშნავად. სახელდობრ, ოჯახის უფროსი **ბაწო** „მგელა“: **ბაწო-ლატ**⁶ „მგელათა (ვაჟი)“, **ბაწო-ქო** „მგელათა (ქალიშვილი)“, **ბაწო-ლაა** „მგელათა (ცოლი)“ და ა. შ.

საყურადღებოა ისიც, რომ არაიშვიათად ამგვარი სახელები, როგორც წესი, საფუძვლად ედებოდა ჩამომავლობის (მამიშვილობის) ან გვარის ჩამოყალიბებას. თანამედროვე გვარები მეტწილად სწორედ ამგვარი სახელებისაგან სათანადო სუფიქსის დართვით არის წარმოქმნილი, მაგ.: **აბდალ** „აბდალი“ - **აბდალოვ**, **ბილდო** „ბილდო“ - **ბილდოვე**, **ადაკო** „ადაკო“ - **ადაკოვე** და მრ. სხვ.

თოხუმი არის სისხლისმიერი ნათესაობით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობა, რომელიც იყოფა დამატებით ქვეჯგუფებად. გვარის ანალოგიურად, ცალკეული მოზრდილი მამიშვილობა შეიძლება ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ თოხუმად.

თოხუმთა სახელწოდებანი ჩვეულებრივ იწარმოება სათანადო მეტსახელისაგან, უფრო ნაკლებად საკუთარი სახელისაგან და იშვიათად სხვა სახელებისაგანაც. კერძოდ, ერთი რიგის თოხუმთა სახელები იწარმოება საკუთრივ ბეჭიტური წესით, როდესაც სახელი წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ან -**ჭა**, -**სა** სუფიქსებით, მაგ.: **ქარბაილა-ს** „ქაბრაილათ (ჯიში)“, **აბდუზარაყლა-ს** „აბდუზარაყლათ (ჩამომავლობა)“, **თოჟაიტა-სა** „თოვაიტლასათ (მოდგმა)“, **პასკო-ჭა** „პასკოვანი“ და მრ.სხვ.

გარდა ამ წესისა, გამოიყენება ხუნძური ეთნონიმების წარმოების მოდელი, როდესაც ჯიშ-ჩამომავლობის გამომხატველი სახელი დგას ნანათესაობითარ მრავლობით რიცხვში, მაგ.: **ილას-ილ-ალ** ზედმიწ. „ილასისნი“ (შდრ. ქართ. სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და მმანი **მ-ის-ნი**), **რაჟაბ-ილ-ალ** (საკ. სახ.) ზედმიწ. „რაჟაბისნი“ **კოლ'ე-ლ-ალ** (მეტსახელისაგან „კოლ'ე“) „კოთლელისნი“ და სხვ.

⁵ იხ. მიქაილოვი 1976 : 306.

⁶ ეს სუფიქსი რთული აგებულებისა ჩანს: -**ლა** + **უ**, **ა**. პირველი კომპონენტი ძირითადი ფუნქციის მატარებელია, ხოლო მეორე კი - კლასის ექსპონენტი.

ამრიგად, ზემოწარმოდგენილი მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ბეჟიტურ ანტროპონომიაში პირთა სახელები, მეტსახელები და თოხუმთა სახელწოდებანი ერთმანეთთან კანონზომიერად არიან დაკავშირებული. პროდუქტიულად გამოიყენება ბეჟიტური საწარმოებელი საშუალებანი, თუმცა ანთროპონიმები არც ხუნძური წესით წარმოების მოდელებს არიან მოკლებული.

ა) მამაკაცის სახელები

		აბუაზიდ	აბუიაზიდი
ა		ადამ	ადამი
		ადელ	ადელი
აბაქარ	აბაქარი	აიდემირ	აიდემირი
აბდულა	აბდულა	აიუბ	აიუბი
აბდულატიფ	აბდულატიფი		
აბდულაზიზ	აბდულაზიზი	ალექსანდერ	ალექსანდერი
აბდულბასირ	აბდულბასირი	ალხაზ	ალხაზი
აბდულჰამიდ	აბდულჰამიდი	ალბერტ	ალბერტი
აბდულჟალილ	აბდულჟალილი	ალბური	ალბური
აბდულქარიმ	აბდულქარირი	ალფრედ	ალფრედი
აბდულყადირ	აბდულყადირი	ამანულა	ამანულა
აბდულმაჟიდ	აბდულმაჟიდი	ამილაჟ	ამილავი
აბდულმანაფ	აბდულმანაფი	ამირხან	ამირხანი
აბდულმუსლიმ	აბდულმუსლიმი	ამრულა	ამრულა
აბდულნასირ	აბდულნასირი	ანჟარ	ანვარი
აბდულფათაჰ	აბდულფათაჰი	ანჟარბეგ	ანვარბეგი
აბდულჟალილ	აბდულჟალილი	ანდრე	ანდრეი
აბდურაჰმან	აბდურაჰმანი	ართემ	ართემი
აბდურაშიდ	აბდურაშიდი	არსენ	არსენი
აბდუსალამ	აბდუსალამი	არსლან	არსლანი
აბდუხალიყ	აბდუხალიყი	ართურ	ართური
აბუდა	აბუდა	ასადულლაჰ	ასადულლაჰი
აბუმუსლიმ	აბუმუსლიმი	ასილდარ	ასილდარი
აბუსუფიდან	აბუსუფიანი	ასიდალაჟ	ასიალავი
აბუტალიმ	აბუტალიმი	ასლან	ასლანი

ასლანზეგ ასლანზეგი
 ასსალაჟ ასსალავი
 ასკაბ ასკაბი
 ასკაბალი ასკაბალი
 აცალაჟ აცალავი
 ახალლა ახალლა
 ახალლაჟ ახალლა
 ახეუბეჟ ახეუბეჟი
 აჰმად აჰმადი
 აჰმადულა აჰმადულა
 ა
 აბაში აბაში
 ალი ალი
 ალიბეგი ალიბეგი
 ალისქანთი ალისქანთი
 ალიხანი ალიხანი
 ალიყასკაბ ალიასკაბი
 არიფი არიფი
 ბ
 ბადაჟი ბადავი
 ბადრუდინ ბადრუდინი
 ბაზა ბაზა
 ბათირ ბათირი
 ბათირხან ბათირხანი
 ბალახუმა ბალახუმა
 ბაისუნგურ ბაისუნგური
 ბასირ ბასირი
 ბაშირ ბაშირი
 ბაჰაუდინ ბაჰაუდინი
 ბეჟთამირ ბეჟთამირი

ბეცაჟ ბეცავი
 ბილალ ბილალი
 ბულათ ბულათი
 ბულაჩ ბულაჩი
 გ
 გარიზ გარიზი
 გეზი გეზი
 გელანი გელანი
 გერეჟ გერეჟი
 გერეჟხან გერეჟხანი
 გითინგუნაშ გითინგუნაში
 გუნაჩ გუნაჩი
 დ
 დაჟუდ დავუდი
 დიბირ დიბირი
 დიბირმჰჰჰჰჰჰჰ დიბირმაჰჰჰჰჰჰჰ
 დიბირჰჰჰი დიბირჰჰჰი
 დიბირასულაჟ დიბირასულავი
 დინისლამ დინისლამი
 ე
 ედიჟ ედიჟი
 ედუარდ ედუარდი
 ელდარ ელდარი
 ელმურზა ელმურზა
 ზ

ზაგირ	ზაგირი	იზზათ	იზზათი
ზალუმხან	ზალუმხანი	იზრაღლ	იზრაილი
ზაბულა	ზაიბულა	ილიმას	ილიასი
ზადულა	ზაიდულა	იმან	იმანი
ზადმუ	ზაიმუ	იმანალი	იმანალი
ზანუდინ	ზაინუდინი	იმანშაფიყ	იმანშაფი
ზაჟურ	ზავური	იმჰოჰჰჰჰ	იმჰოჰჰჰარი
ზაჟურბეგ	ზავურბეგი	იმრან	იმრანი
ზაფირ	ზაფირი	ინათულა	ინათულა
ზაჰიდ	ზაჰიდი	ისა	ისა
ზაჰირ	ზაჰირი	ისადიბირ	ისადიბირი
ზიფაუდინ	ზიფაუდინ	ისაყ	ისაყი
ზიქრულა	ზიქრულა	ისაჰჰჰი	ისაჰჰჰი
ზუბადრ	ზუბაირი	ისლამ	ისლამი
ზულფუყარ	ზულფუყარი	ისლანბეგ	ისლანბეგი
ზულყარნად	ზულყარნაი	ისმაღლ	ისმაილი
თ		ისრაფილ	ისრაფილი
		ისფილაჟ	ისფილაფი
		ისჰანდერ	ისჰანდერი
თამაზ	თაიმაზი		
თამასხან	თაიმასხანი	ლ	
თაჟუდინ	თაჟუდინი		
თელმან	თელმანი	ლაბაზან	ლაბაზანი
თიმურ	თიმური	ლატიფ	ლატიფი
ო		ლოჰემუსა	ლოჰემუსა
		მ	
იბადულა	იბაიდულა		
იბარამაზან	იბარამაზანი	მალაჩე	მალაჩე
იბრაჰინ	იბრაჰინი	მალიქ	მალიქი
იბრაჰინხალილ	იბრაჰინხალილი	მალლა	მალლა
იდრის	იდრისი	მალლამჰჰჰჰ	მალლამაჰჰჰჰი
იზადულა	იზადულა	მალლარიზა	მალლარიზა

მამადიბირ	მამადიბირი	ნიცმათულა	ნიმათულა
მანსურ	მანსური	ნურალი	ნურალი
მაჟიდ	მაჟიდი	ნური	ნური
მარათ	მარათი	ნურმჰჰჰჰჰ	ნურმაჰჰჰჰ
მარსელ	მარსელი	ნურულაჰ	ნურულაჰი
მასთურა	მასთურა	ნურულგუდა	ნურულგუდა
მასუდ	მასუდი	ნუცალხან	ნუცალხანი
მაცსუდ	მაცსუდი	ნუხბეჟ	ნუხბე
მაჰდი	მაჰდი		
მაჰდიმჰჰჰჰ	მაჰდიმაჰჰჰჰ		
მჰჰჰჰ	მაჰჰჰჰ	დ	
მჰჰჰჰჰჰჰ	მაჰჰჰჰჰჰჰ		
მჰჰჰჰჰჰჰ	მაჰჰჰჰჰჰჰ	დაყუბ	იაყუბი
მჰჰჰჰჰჰჰჰჰ	მაჰჰჰჰჰჰჰჰჰ	დაყუთ	იაყუთი
მჰჰჰჰჰჰჰჰ	მაჰჰჰჰჰჰჰჰ	ფუნუს	იუნუსი
მჰჰჰჰჰჰჰჰჰ	მაჰჰჰჰჰჰჰჰჰ	ფუნუსმჰჰჰჰ	იუნუსმაჰჰჰჰ
მჰჰჰჰჰჰჰჰჰ	მაჰჰჰჰჰჰჰჰჰ		
მჰჰჰჰჰჰჰჰჰ	მაჰჰჰჰჰჰჰჰჰ	ჟ	
მიქაჰლ	მიქაილი	ჟაბრაჰლ	ჟაბრაილი
მურად	მურადი	ჟალალ	ჟალალი
მურთუზ	მურთუზი	ჟალალუდინ	ჟალალუდინი
მურშიდ	მურშიდი	ჟალილ	ჟალილი
მუსა	მუსა	ჟამალ	ჟამალი
მუსადიბირ	მუსადიბირი	ჟამალაბდულნასირ	
მუსაშაჰ	მუსაშაიხი	ჟამალაბდულნასირი	
მუსლიმ	მუსლიმი	ჟამალუდდინ	ჟამალუდდინი
მუთაჰლიმ	მუთაალიმი	ჟაჰათხან	ჟავათხანი
მუხთარ	მუხთარი	ჟაჰფარ	ჟაჰფარი
მუჰმინ	მუჰმინი		
ნ		რ	
ნაიბხან	ნაიბხანი	რაჰაყ	რაჰაყი

რათმირ რათმირი
 რამაზან რამაზანი
 რამიდ რამიდი
 რაჟაბ რაჟაბი
 რასილმ რასილმი
 რასულ რასული
 რაჟილ რავილი
 რაშიდ რაშიდი
 რაშიდხან რაშიდხანი
 რაშიმ რაშიმი
 რაჯუ რაჯუ
 რიზჟან რიზჯანი
 რობერთ რობერთი
 რუბენ რუბენი
 რუსთამ რუსთამი
 რუსლან რუსლანი
 რუსუდან რუსუდანი

საფიგულა საფიგულა
 საფირ საფირი
 სახრათ სახრათი
 სიბაჟე სიბავეი
 სირაჟუდინ სირაჟუდინი
 სიჰაბუდინ სიჰაბუდინი
 სუბილთან სუბილთანი
 სულთან სულთანი
 სულთანხან სულთანხანი
 სუმა სუმა
 სურაყათ სურაყათი
 სურაჩ სურაჩი
 სურაჯ სურაჯი
 სურხაჲ სურხაი
 სურხან სურხანი
 სუხრაბ სუხრაბი

ს

საადულა საადულა
 საბირ საბირი
 სადამ სადამი
 სადიყ სადიყი
 სადრუდინ სადრუდინი
 სალათგერეი სალათგერეი
 სალაჰბეგ სალაჰბეგი
 სალაჰუდინ სალაჰუდინი
 სალიმ სალიმი
 სალიჰ სალიჰი
 საიდაფანდი საიდაფანდი
 საიდბეგ საიდბეგი
 საიფულაჰ საიფულაჰი

ტ

ტაგირ ტაგირი
 ტალჰათ ტალჰათი
 ტალჰათჰაჟი ტალჰათჰაჟი
 ტინამჰჰჰჰჰჰჰ ტინამაჰჰჰჰჰჰჰ

ჭ

ჭალადიმირ ვალადიმირი
 ჭალი ვალი
 ჭარის ვარისი
 ჭაქილ ვაქილი
 ჭაჰიდ ვაჰიდი

უ

ულუბი	ულუბი	ქარიმულლა	ქარიმულლა
უმახან	უმახანი	ქარიმულლაჰ	ქარიმულლაჰი
უჟადს	უჯაისი	ქაგბულა	ქაგბულა
უსთარმჰჰჰმჰ	უსთარმაჰჰამადი	ქემრან	ქემრანი
უსმან	უსმანი		
უსუფ	უსუფი	ღ	
ჟ		ღაზი	ღაზი
ჟზადრ	ჟზადრი	ღაზიდირ	ღაზიდირი
ჟმჰლდიბია	უმალდიბია	ღაზიმჰჰჰმჰ	ღაზიმჰჰჰამადი
ჟმჰლლჰ	უმალლაგი	ღანბულათ	ღანბულათი
ჟმჰრ	უმარი	ღაფირბეგ	ღაფირბეგი
ჟმჰრბილალ	უმარბილალი	ღაფურ	ღაფური
ჟმჰრყებედ	უმარყებედი	ყ	
ჟმჰრტუგჰ	უმარტუგაზი	ყადი	ყადი
ფ		ყადირ	ყადირი
ფათაჰ	ფათაჰი	ყასუმ	ყასუმი
ფათხულა	ფათხულა	ყასუმბეჟ	ყასუმბეჟი
ფაფულა	ფაიზულა	ყებედ	ყებედი
ფაშა	ფაშა	ყებედმჰჰჰმჰ	ყებედმაჰჰამადი
ფაზრუდინ	ფაზრუდინი	ყურბან	ყურბანი
		ყურბანალი	ყურბანალი
		ყურბანმჰჰჰმჰ	ყურბანმაჰჰამადი
ქ		შ	
ქამალ	ქამალი	შამილ	შამილი
ქამალდინ	ქამალდინი	შამილიმან	შამილიმანი
ქამალუდინ	ქამალუდინი	შამირ	შამირი
ქამილ	ქამილი	შამსუდინ	შამსუდინი
ქამილბეგ	ქამილბეგი	შამხალ	შამხალი
ქაჟსულამან	ქავსულაიმანი		
ქარიმ	ქარიმი		

შაიხ	შაიხი	ხაირუდინ	ხაირუდინი
შაიხაბაშ	შაიხაბაში	ხაირულა	ხაირულა
შაიხმაჰმად	შაიხმაჰმადი	ხიზრი	ხიზრი
შაიხტუგაჯ	შაიხტუგახი	ხირამაჰმად	ხირამაჰმადი
შაიხულისლამ	შაიხულისლამი	ხირასულაჯ	ხირასულავი
შაჰან	შაჰანი	ხირაჩ	ხირაჩი
შარაფუდინ	შარაფუდინი		
შარიფ	შარიფი	ჰ	
შარხ	შარხი		
შაჰბულათ	შაჰბულათი	ჟათმაზ	ხაითმაზი
შაჰმირ	შაჰმირი		
შაჰრუდინ	შაჰრუდინი	ჰ	
შაჰბან	შაჰბანი		
შაჰირ	შაირი	ჰაბიზ	ჰაბიზი
შეახ	შეიხი	ჰაბულა	ჰაბულა
შიამ	შიამი	ჰადის	ჰადისი
შუაბ	შუაიბი	ჰამზათ	ჰამზათი
		ჰამზათაბაშ	ჰამზათაბაში
ჩ		ჰადდარ	ჰაიდარი
		ჰაჟარ	ჰაჟარი
ჩალანდარ	ჩალანდარი	ჰაჟი	ჰაჟი
		ჰაჟიმაჰმად	ჰაჟიმაჰმადი
ხ		ჰაჟიმურად	ჰაჟიმურადი
		ჰაჟიმ	ჰაჟიმი
ხაბირ	ხაბირი	ჰიზბულლა	ჰიზბულლა
ხადის	ხადისი		
ხალიდ	ხალიდი		
ხალიდულა	ხალიდულა		
ხალით	ხალითი		
ხალილ	ხალილი		
ხალილდიბირ	ხალილდიბირი		
ხანგერაჟ	ხანგერაი		
ხანფაშა	ხანფაშა		

ბ) ქალის სახელები

		ართანათ	ართანათი
ა		ასიდა	ასია
		ასიდათ	ასიათი
ადალინა	ადალინა	ასლიხათ	ასლიხათი
		ასმა	ასმა
ალბინა	ალბინა		
ალთანათ	ალთანათი		
ალიდათ	ალიათი	ა	
ალისა	ალისა		
ალჟანათ	ალჟანათი	აბიდათ	აბიდათი
ალსინა	ალსინა	ათიქათ	ათიქათი
ალსინათ	ალსინათი	ანჟელა	ანჟელა
ალფიდათ	ალფიათ	აიშათ	აიშათი
ამანალა	ამანალა	აიჩა	აიჩა
ამანთუ	ამანთუ	არაფა	არაფა
ამელიდა	ამელია	აშურათ	აშურათი
ამინათ	ამინათი	აჩურე	აჩურე
ანზირათ	ანზირათი		
ანისათ	ანისათი	ბ	
ანჟეალა	ანჟეალა		
აიდა	აიდა	ბაბუშაი	ბაბუშა
აიზა	აიზა	ბათული	ბათული
აიზანათ	აიზანათი	ბაიზათ	ბაიზათი
აიმისეი	აიმისეი	ბარიდათ	ბარიათი
აინა	აინა	ბაჰჟათ	ბაჰჟათი
აიშა	აიშა	ბელლა	ბელლა
		ბიქა	ბიქა

ბურლიმათ	ბურლიათი	ზალიხა	ზალიხა
		ზალმუ	ზალმუ
გ		ზაიდა	ზაიდა
		ზაინაბი	ზაინაბი
გადიჰათ	გადიჰათი	ზაირა	ზაირა
გალინა	გალინა	ზარბიქა	ზარბიქა
გაჭრი	გავრი	ზარემა	ზარემა
გითა	გითა	ზარინა	ზარინა
გილმანხან	გილიანხანი	ზარიმათ	ზარიათი
გულიზარ	გულიზარი	ზარიფათ	ზარიფათი
გულიშათ	გულიშათი	ზაფიქათ	ზაფიქათი
გულნარა	გულნარა	ზაჰიდათ	ზაჰიდათი
გულჟანათ	გულჟანათი	ზაჰირათ	ზაჰირათი
გულჟაჰან	გულჟაჰანი	ზაჰრა	ზაჰრა
		ზაჰრაბიქა	ზაჰრაბიქა
დ		ზაჰრათ	ზაჰრათი
		ზითა	ზითა
დიანა	დიანა	ზინდალ	ზინდალი
დიმირათ	დიმირათი	ზომა	ზომა
დინარა	დინარა	ზორბიკა	ზორბიკა
		ზუბაფათ	ზუბაიფათი
ე		ზუბედათ	ზუბეიდათი
		ზულაძხათ	ზულაძხათი
ელეანორა	ელეანორა	ზულიჩე	ზულიჩე
ელიზა	ელიზა	ზულმირა	ზულმირა
ელმირა	ელმირა	ზულფიმათ	ზულფიმათი
ემილია	ემილია	ზულფიქათ	ზულფიქათი
ელჭირა	ელვირა	ზულჰიქათ	ზულჰიქათი
ზ		ზუმრუდ	ზუმრუდი
		ზურმილათ	ზურმილათი
ზაბიდათ	ზაბიდათი	ზუფრათ	ზუფრათი
ზალინა	ზალინა	თ	

თათდანა თათიანა
 თადბათ თაიბათი
 თუმიშათ თუმიშათი
 თუმუშა თუმუშა

ო

იზაბელა იზაბელა
 იზაურა იზაურა
 იზაჰათ იზაჰათი
 იზუმრუდ იზუმრუდი
 ილმურა ილმურა
 ინგა ინგა
 ინდირა ინდირა
 ინსაფუ ინსაფუი
 ირამსათ ირამსათი
 ირამსანათ ირამსანათი
 ირამჰანათ ირამჰანათი
 ირინა ირინა
 ისიდა ისიდა
 იქლამათ იქლამათი

კ

კილილაჲ კითლილაი

ლ

ლალი ლალი
 ლამზათ ლაიზათი
 ლამლა ლაილა
 ლარისა ლარისა

ლაურა ლაურა
 ლეილა ლეილა
 ლიანა ლიანა
 ლუდმილა ლუდმილა
 ლუიზა ლუიზა
 ლუიზათ ლუიზათი

მ

მადინათ მადინათი
 მალიჰათ მალიჰათი
 მანარშა მანარშა
 მამსარათ მამსარათი
 მაჭლიმათ მავლიათი
 მარზიმათ მარზიმათი
 მარინა მარინა
 მარმა მარია
 მარიამი მარიამი
 მარიამანა მარიამანა
 მარჟანათ მარჟანათი
 მეჭლუდ მეველუდი
 მესედო მესედო
 მილანა მილანა
 მუდრიქათ მუდრიქათი
 მუზიმათ მუზიმათი
 მუნირა მუნირა
 მუჲ მუი
 მურზიმათ მურზიმათი
 მუხლისათ მუხლისათი
 მუცმინათ მუცმინათი

ნ

ნაზიფათ	ნაზიფათი	ჟუჰაფათ	ჟუჰაიზათი
ნათალიდა	ნათალია	ჟუჰაფრათ	ჟუჰაირათი
ნადდა	ნაიდა		
ნაფათ	ნაიზათი	რ	
ნაფრათ	ნაირათი		
ნასიფათ	ნასიფათი	რაბიყათ	რაბიათი
ნასიჰათ	ნასიჰათი	რადხა	რადხა
ნაფისათ	ნაფისათი	რაზიმათ	რაზიათი
ნურაფათ	ნურაიზათი	რამსათ	რაისათი
ნურაფჰანათ	ნურაიჰანათი	რამფათ	რაიფათი
ნურიმათ	ნურიათი	რამჰანათ	რაიჰანათი
ნურსიმათ	ნურსიმათ	რაჰჰანათ	რავჰანათი
ნუფამსათ	ნუფამსათი	რაფიჰათ	რაფიჰათი
ნუცალამ	ნუცალაი	რაშიდათ	რაშიდათი
		რაჰიმათ	რაჰიმათი
ო		რეჰედა	რეჰედა
		რითა	რითა
ოლგა	ოლგა	რიმათ	რიმათი
ოქსანა	ოქსანა	რისალათ	რისალათი
		როზა	როზა
ჟ		როზალინა	როზალინა
		რუსალინა	რუსალინა
ჟალამსათ	ჟალამსათი	რუყიმათ	რუყიათი
ჟამილათ	ჟამილათი	რუსლანა	რუსლანა
ჟანნა	ჟანნა		
ჟანნათ	ჟანნათი	ს	
ჟაჰჰარათ	ჟავჰარათი		
ჟარადათ	ჟარადათი	საბინა	საბინა
ჟარიმათ	ჟარიათი	საბირათ	საბირათი
ჟუბალჟათ	ჟუბალჟათი	სადრინა	სადრინა
ჟუბამჟათ	ჟუბამჟათი	სალიმათ	სალიმათი
ჟუბიჰათ	ჟუბიჰათი	სალიჰათ	სალიჰათი
ჟუჰაფრათ	ჟუჰაირათი	სამერა	სამერა

სამირათ სამირათი
სანიდათ სანიათი
სანიჟათ სანიჟათი
სადბათ საიბათი
სადგიბათ საიგიბათი
სადდათ საიდათი
სადხა საიხა
საფიდათ საფიათი
საფირათ საფირათი
საჰიბათ საჰიბათი
სიდრათ სიდრათი
სიდადათ სიდადათი
სიდანათ სიანათი
სჟეტლანა სვეტლანა
სუბხი სუბხი
სულედათ სულეისათი
სულიჰათ სულიჰათი
სუმრათ სუმრათი
სუფადნათ სუფადნათი
სუფარნათ სუფარნათი
სუფინათ სუფინათი
სუქადნათ სუქადნათი
სუჰანათ სუჰანათი
სუჰადბათ სუჰადბათი
სუჰადნათ სუჰადნათი

ტ

ტადგიბათ ტადგიბათი
ტადიბათ ტადიბათი
ტაჟუს ტავუსი

უ

უზლიფათ უზლიფათი
უმა უმა
უმადასანათ უმადასანათი
უმადაჰანათ უმადაჰანათი
უმუქუსუმ უმუქუსუმი
უსადმათ უსადმათი

ჟ

ჟნაფჟთ უნაიჟათი

ფ

ფანისა ფანისა
ფაჟხან ფავხანი
ფარი ფარი
ფარიდა ფარიდა
ფარიზა ფარიზა
ფარიხან ფარიხანი
ფატიმა ფატიმა
ფატიმათ ფატიმათი
ფატიმათზინდალ ფატიმათზინდალი
ფატიმათ ფატიმათი
ფირდაჟუს ფირდავუსი

ქ

ქაბირათ ქაბირათი
ქალიმათ ქალიმათი
ქალფანა ქალფანა
ქამილა ქამილა
ქაჟსარათ ქავსარათი
ქარინა ქარინა

ქუმსიდათ	ქუმსიათი	ხანზადად	ხანზადაი
ქუფიდათ	ქუფიათი	ხასადბათ	ხასაიბათი
		ხაფიზათ	ხაფიზათი
ღ		ჰ	
ღადრო	ღაირო	ჰადბათ	ჰაიბათი
შ		ჰურადრათ	ჰურაირათი
შამად	შამაი	ჰ	
შამსიდათ	შამსიათი		
შამმაყ	შაიმა	ჰაბიბათ	ჰაბიბათი
შამმაყათ	შაიმაათი	ჰაბსათ	ჰაბსათი
შარიფათ	შარიფათი	ჰალიმათ	ჰალიმათი
შუმად	შუმაი	ჰაფათული	ჰაიფათული
შუმადსათ	შუმაისათი	ჰაჟა	ჰავა
შუჟალად	შუვალაი	ჰურიდათ	ჰურიათ
შუყადნათ	შუაინათი		
ჩ			
ჩაქარ	ჩაქარი		
ხ			
ხადიჯა	ხადიჯა		
ხადიჯათ	ხადიჯათი		
ხადიჯათსადლაქო	ხადიჯათსაიდლაქო		
ხათიბათ	ხათიბათი		
ხათიმათ	ხათიმათი		
ხალისათ	ხალისათი		
ხამისათ	ხამისათი		
ხანზაბიქა	ხანზაბიქა		

ბეჟიტური ენის გრამატიკული მიმოხილვა

შესავალი

0.1. ენისა და ხალხის სახელწოდება. ბეჟიტური (resp. ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ენა მიეკუთვნება დაღესტნის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა დიდოურ ქვეჯგუფს. სპეციალურ ლიტერატურაში საკვლევი ენის სახელწოდებად, **ბეჟიტური-ს** (resp. **ბეჟტური-ს**) გარდა, გვხვდება: ა) **კაკუჭური** (**კაკუჭურ-ჰუნზიბური**), 2. **ხვანური**.

ამჟამად ბეჟიტელებს ხუნძები ეძახიან **ბეჟტ-ალ**, დიდოელები – **ქიბური**, ხვარშიელები – **ქაბალა**.

0. 2. **ბეჟიტელებისა (ბეჟიტელ-ჰუნზიბელებისა) და ბეჟიტური ენის გავრცელების არე**. ბეჟიტელ-ჰუნზიბელი ხალხის განსახელების არეალი დაღესტნის მაღალმთიანეთში – მდინარე **ხვანორის** და მის პატარა შენაკადების ხეობებში მდებარეობს ზღვის დონიდან 1,600-2,200 მეტრზე. ბეჟიტელ-ჰუნზიბელთა ძირითადი ნაწილი კომპაქტურად ცხოვრობს წუნტის რ.-ში და შემოიფარგლება სამი აულით: **ბეჟტლა** (ქართ. ბეჟიტა, კაპუჭი), **ხაშარხოტა** (resp. ხოჩარხოტა) და **ტლადალი** (ქართ. ქალაქი). ჰუნზიბელებიც სამ სოფელში ცხოვრობენ: **ჰუნზიბში** (resp. **ჰუნზებ**, **ჰუნზი**, **ენძებ**), **ნაჰადასა** (ნაჰადასა) და **ღარბუთლში**.

საქართველოში ბეჟიტელები კომპაქტურად მოსახლეობენ ყვარლის რ-ნის ორ სოფელში – ჩანტლისყურესა (ბეჟიტელები, ხაშარხოტელები, ტლადალალელები) და სარუსოში (ნაჰადელები, ღარბუთლელები). ბეჟიტელები დაღესტანში მეტწილად მოსახლეობენ ბაბაიურთის, ყიზილიურთის, ყიზლარის რაიონებში, აგრეთვე, კაბალსა და ტაბახოლში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა). მათი უმნიშვნელო რაოდენობა არაკომპაქტურად ცხოვრობს მაჰაჩყალასა და აღმოსავლეთ თურქეთის ზოგ ქალაქში.

0.3. **ბეჟიტელების რაოდენობა**. 1926 წლის საკავშირო აღწერის შემდეგ 2002 წლამდე ბეჟიტელები ოფიციალურად ხუნძებად (resp. ავარიელებად) აღირიცხებოდნენ, რაც ართულებდა მათი ზუსტი კონტინგენტის დადგენას. მართალია, 2002 წელს ბეჟიტელები დააფიქსირეს დამოუკიდებელ ეთნიკურ ჯგუფად, მაგრამ ამჟერადაც მათი რაოდენობა მოკლებული ჩანს სიზუსტეს. ამის დასტურია ის თვალსაჩინო განსხვავება, რაც რუსეთის საყოველთაო აღწერისა და სასოფლო ადმინისტრაციის მონაცემებს შორის შეინიშნება [ისაკოვი, ხალილოვი 2012 : 9; არდოტელი 2014 : 26; ქომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015 : 18].

0.4. ბეჟიტური ენა და მისი დიალექტები. ბეჟიტურ ენაში გაირჩევა ორი დიალექტი: ა) საკუთრივ ბეჟიტური და ბ) ჰუნზიბური. თავის მხრივ, საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში შეიძლება გამოიყოს სამი კილოკავი, რომლებიც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან: ა) ტლადალური, ბ) ხაშარხუტული და გ) ბეჟტური (resp. კაპუჭური).

რაც შეეხება ჰუნზიბურ დიალექტს, პირობითად შეიძლება გამოიყოს ორი თქმა: ა) ღარბუთლურ-ნაჰადური და ბ) საკუთრივ ჰუნზიბური.


ბეჟიტური ენა უდამწერლობო ენათა რიცხვს განეკუთვნება. ბეჟიტელ-ჰუნზიბელები სამწერლობო-საურთიერთო ენად (Lingua franca) ხუნძურს იყენებენ. ბეჟიტელები ხუნძურსა და რუსულს (საქართველოში – ქართულს) სკოლაში ითვისებენ. ამჟამად დაწყებითსა და საშუალო სკოლებში, აგრეთვე, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-განათლებას რუსულ ენაზე ეუფლებიან. ყვარლის რ-ნის სოფ. ჩანტლისყურესა და სარუსოს სკოლებში სწავლება ქართულად მიმდინარეობს. ბეჟიტურ სკოლებში ხუნძური, როგორც ფაკულტატური საგანი, IV კლასიდან ისწავლება. შეიძლება ითქვას, რომ ბეჟიტელები (განსაკუთრებით ჰუნზიბელები) არიან პოლიგლოტები – დედაენის გარდა, იციან ხუნძური, რუსული და ნაწილობრივ ქართული.

ფონოლოგია

თავი I. ფონოლოგიური სისტემა

1.1. **ხმოვანთა სისტემა.** ბეჟიტური ენის ორივე დიალექტის ვოკალურ სისტემაში ოცდაათამდე ხმოვან-ფონემას ითვლიან. ჰუნზიბური დიალექტი, რომელიც ხმოვანთა სისტემის მეტ სირთულეს ამჟღავნებს, ოცდაოთხ ხმოვან-ფონემას გვიჩვენებს.

1.1.1. **მარტივი ხმოვნები.** ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში განირჩევა ხუთი სადა ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ. ჰუნზიბურ დიალექტს, საკუთრივ ბეჟიტურისაგან განსხვავებით, მოეპოვება ე. წ. ირაციონალური /ჯ/ (სჯ „დათვი“...), ა-სკენ გადახრილი ფართო, არალაბიალური /რ/ (რბუ „მამა“...) და არალაბიალიზებული, ვიწრო /ჰ/ (სჰ „მელა“...). ეს სისტემა შეიძლება გამოიხატოს ხმოვანთა კუბით:




ზემომოყვანილი კუბის ფერდებზე გამოხატული ფონემები ასახავენ როგორც ლოკალურ რიგს, ისე ენის აწეულობას. ამასთანავე, თითოეული ფონემა სხვა ფონემას ერთი დისტინქციური ნიშან-თვისებით მაინც უპირისპირდება.

რაც შეეხება საკვლევ ენაში არსებულ მარტივ ხმოვანთა რეალიზაციას, მათი ფუნქციური დატვირთვა მეტ-ნაკლებად განსხვავებულია: „ხმოვანთა შორის ყველაზე მეტი სიხშირით გამოირჩევა ა, შემდეგ ო, შემდეგ კი ი და ე“ [ხალილოვი 1995 : 389].

1.1.3. **ნაზალიზებული ხმოვნები.** ბეჟიტური ენის ორივე დიალექტისთვის ნიშანდობლივია ნაზალიზებული ხმოვნები, რომლებიც სათანადო მარტივი ხმოვნებისაგან ნაზალური ტემბრის სიჭარბით განსხვავდებიან. მათი ფონემურობა ეჭვს არ იწვევს, რადგანაც მინიმალური წყვილები მოეპოვება, მაგ.: იზ „ციხე-სიმაგრე“, „ქვების გროვა“ – იზ 1. „დიდი საცერი“, 2. „ყალყზე“, წო „ცეცხლი“ – წონ „მუცლის აპკი“, ლელ „სელი“ –

ლწლ „მოცვზე“ და მისთ.

ჰუნზიბური დიალექტის ნაზალიზებულ ხმოვანთა სისტემა, რომელიც საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის სათანადო ხმოვანთა სისტემასაც აერთიანებს, სქემატურად შეიძლება ასე გამოიხატოს:



1.1.4. გრძელი ხმოვნები. ხმოვანთა გრძელი კორელატები უპირატესად ინტერვოკალური თანხმოვნის სინკოპირებით ხმოვანთა შერწყმის საფუძველზე წარმოქმნილი ხმოვნებია, რომლებიც სათანადო სადა ხმოვნების საარტიკულაციო თვისებებს შეიცავენ დაყოვნების მიმატებით და ჰიატუსის სუპერაციის ერთგვარ რეალიზატორებად გვევლინებიან. ამას ერთგვარად მიგვანიშნებს მათი დისტრიბუციაც – ეს ხმოვნები ძირითადად მორფემათა მიჯნაზე დაჩნდებიან და სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებში არიან წარმოდგენილი, თუმცა მათ აქვთ ფონემის ფუნქცია, მაგ.: ბისა „თევზი“ – ბისა „თევზები“, ლწი „წყალი“ – ლწი „წყალმა“ და ა. შ.

ბეჟიტურ დიალექტში გამოიყოფა ხუთი გრძელი ხმოვანი (წ, ეწ, იწ, ოწ, უწ), ხოლო ჰუნზიბურ დიალექტში მათი რიცხვი სპეციფიკურ ხმოვანთა (რწ, ჟწ, გწ) ხარჯზე რვამდე გაიზრდება.

ბეჟიტური ენის ორივე დიალექტის მონაცემთა გათვალისწინებით, ხმოვანთა კრებსითი ცხრილი ოცდაათ ხმოვან-ფონემას ითვლის, რომელიც სქემატურად შეიძლება ასე გამოიხატოს:

ცხრილი №4

ლოკალური რიგი	წინა	შუა			შესა		
		არაბაგისმიერი	ბაგისმიერი	ბაგისმიერი	არაბაგისმიერი	ბაგისმიერი	ბაგისმიერი
ენის აწეულობა	'გააღვ.ღვ	ა	ა	ა	ა	ა	ა
		ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
		გ	გ	გ	გ	გ	გ
	სამსკაჲ	ა	ა	ა	ა	ა	ა
		ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
		გ	გ	გ	გ	გ	გ
	სამსკაჲზიცი	ა	ა	ა	ა	ა	ა
		ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
		გ	გ	გ	გ	გ	გ
	მაღალი	ა	ა	ა	ა	ა	ა
		ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
		გ	გ	გ	გ	გ	გ
საშუალო	ა	ა	ა	ა	ა	ა	
	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	
	გ	გ	გ	გ	გ	გ	
დაბალი	ა	ა	ა	ა	ა	ა	
	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	
	გ	გ	გ	გ	გ	გ	

1.1.5. ჰიატუსის საკითხისათვის. ბეჟიტური ენის ფონოტაქტიკისათვის ჰიატუსი ნიშანდობლივი არ არის. ბეჟიტურ ენაში ჰიატუსის სუპერაცია ხდება ინტერვოკალურ პოზიციაში სონანტებისა (ა, ჟ) და ლარინგალური აბრუპტივის (ჰ) ჩართვით, მაგ.: იოო „დედა“, ბუჟალ „კეთება“, შოჰა (ჰუნზ.) „დავიწყება“ და სხვა მისთ.

დასტურდება (მეტწილად ჰუნზიბურში) ისეთი მაგალითებიც, რომლებშიც ჰიატუსი დაძლეული არ არის. ნაზალიზაცია, როგორც ჭარბი არტიკულაციური მოვლენა, ერთგვარად ჰიატუსის სუპერაციას ახდენს, მაგ.: ტუნა „ბაბუაწვერა“, წაწან // წაწან „მშვილდი“ და მისთ.

1.2. **სონანტა სისტემა.** პალატალური /ჲ/-სა და წყვილბაგისმიერი /ჟ/-ს დისტრიბუცია განსაზღვრულია – ისინი რეალიზდებიან როგორც სონანტები. სწორედ მათი ფუნქციური ურთიერთმონაცვლეობა მიგვანიშნებს, რომ /ჲ/ და /ჟ/ მივიჩნიოთ სონანტებად, რადგანაც დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებას ავლენენ.


ნიშანდობლივი არ არის C + W ტიპის ლაბიალიზებული კომპლექსი და მისი გამარტივება სხვადასხვაგვარად ხდება:

- ა) აუსლაუტური აღმავალი დიფთონგის შერწყმით: ბეჟ. რაკო (<*რაკჟა) „გული“...;
- ბ) წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო ასიმილაციით: ჰუნზ. ზუყურ (< ზეყურ) „იყო“...;
- გ) ლაბიალიზებული კომპლექსის ძირითადი კომპონენტის დაკარგვით: საკ. ბეჟ. ჟოდო (<*ღჟოდო, შდრ. ინხ. ღ'ჟოდე) „ხვალ“, ჰუნზ. ჟჷდჷ (<*ღჷდჷ (შდრ. ჰინ. ღ'ჟადე „id.“)...)...;
- დ) ლაბიალური კომპონენტის დაკარგვით: ქეჭრი (< ქართ. ქვევრი "id".) „ქვევრი“ და სხვ.

1.3. **თანხმოვანთა სისტემა.** ბეჟიტური ენის დიალექტებს სპეციფიკური თანხმოვნებიდან ერთნაირად ახასიათებს: 1) აბრუპტივები: /პ/, /ტ/, /წ/, /ჭ/, /კ/, /ყ/, /ც/; 2) ლატერალები: სპირანტი /ლ'/, ფშვინვიერი აფრიკატი /ლ'/, აბრუპტიული აფრიკატი /ტჲ/; 3) უვულარული სპირანტები: /ჩ/, /ჰ/; 4) ჰუნზიბურ დიალექტში შეინიშნება პალატალური სპირანტი /წ/, რომელიც ხუნძური ენის ზეგავლენას მიეწერება. ნასესხებ ლექსიკაში სპორადულად შეიძლება მჟღერმა აფრიკატებმაც (ძ, ჯ) იჩინონ თავი, მაგრამ მათ ფონემის სტატუსი არ მოეპოვებათ.

ბეჟიტური მოკლებულია დაღესტნურ ენათა სინამდვილიდან კარგად ცნობილ შემდეგ თანხმოვნებს: 1) თანხმოვანთა ინტენსიურ კორელატებს; 2) ლაბიალიზებულ თანხმოვნებს; 3) მჟღერ აფრიკატებს; 4) ფარინგალიზებულ თანხმოვნებს.

ბეჟიტური ენის კონსონანტურ სისტემაში აბრუპტივების არსებობა და, აქედან გამომდინარე, ბილაბიალური, დენტალური და წინაველარული ლოკალური რიგები სამწვერა კონებს ქმნიან:



აფრიკატები და სპირანტები წყვილეულებით არიან წარმოდგენილი. მაგარსასისმიერი, წინაველარული და ლარინგალური რიგის სპირანტები, მჟღერთა უქონლობის გამო, ცალეულებს ქმნიან.

თანხმოვანთა სისტემა სქემატურად ასე გამოიხატება:

ლოკალური რიგი	წარმოების რაგვარობა	ჩქამიერები									სონორები			სონანტი		
		ხშულ-მსკდომები			აფრიკატები				სპირანტები		ლიკვიდი					
		მჟღერი	ფშვინვიერი	აბრუფტივი	არალატე-რალი		ლატე-რალი		არალატე-რალი		ლატე-რალი	ყრუ	გვერდითი	ვიზრანტი	ნაზალური	აპროქსიმანტი
					ფშვინვიერი	აბრუფტივი	ფშვინვიერი	აბრუფტივი	მჟღერი	ფშვინვიერი						
ბილაბიალური	ბ	ფ	პ											მ	პ	
წინაენისმი- ერნი	ა) ენა-კბილისმიერი	დ	თ	ტ										ნ		
	ბ) ენა-ნუნისმიერი				ც		წ		ჩ	ს			რ			
	გ) უკანანუნისმიერი				ჩ		ჭ		ქ	შ						
	დ) მაგარსასისმიერი						ლ'	ტ'		ლ'		ლ				
შუაენისმიერი															ღ	
უკანაენის- მიერი	ა) წინაველარული	გ	ქ	კ												
	ბ) უკანაველარული								ვ	ხ						
ფარინგალური				ჰ		ყ		ჟ	ჭ							
ლარინგალური			ღ						ჰ							

1.4. **დისტრიბუცია.** სადა ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალია ანლაუტსა და ინლაუტში, აუსლაუტში უ შეზღუდულია საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ისევე, როგორც მისი ფონემური შესატყვისი ო – ჰუნზიბურში. აფსოლუტურ ბოლოში უ ძალიან იშვიათად დაჩნდება ნასესხებ მასალაში (ყადრუ „ავტორიტეტი“, ზულმუ „ტვირთი“, „ძალადობა“...), ხოლო ძირეულ მასალაში ძირითადად აფიქსებში იჩენს თავს (ეგგ-უ „საინტერესო“, გელოტას-ზუ „უცაბედად“...).

თანხმოვანთა დიდი ნაწილი ყველა ფონოლოგიურ პოზიციაში გვხვდება. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ უვულარული ზ და ჰ, რომელთა დისტრიბუცია ჰუნზიბურ სიტყვა-ფორმათა ანლაუტში შეზღუდულია, ხოლო საკუთრივ ბეჟიტურ კილოში ისინი ოდენ ანლაუტსა და ინლაუტში გვხვდებიან.

1.4.1. **კონსონანტური კომპლექსები.** ბეჟიტური ენისთვის, სხვა ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, თანხმოვანთკომპლექსები ნაკლებად არის დამახასიათებელი. ამგვარი ვითარება უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, სრულხმოვნობით შეპირობებული სუპერაციის ძლიერი ტენდენციით, მეორე მხრივ კი, დენაზალიზაციისა და დელაბიალიზაციის პროცესებით, რომლებიც ამარტივებენ ფონემატურ სტრუქტურას.

ძირეულ მორფემულ სტრუქტურებში მეტწილად დასტურდება ორი ნებისმიერი ჩქამიერი თანხმოვნისა და სონორის (S+C) კომბინაციები. ამ წესის გათვალისწინებით, ბეჟიტურში გვხვდება SC მოდელის 33 წყვილი. **ჩქამიერი + თანხმოვანი** შედარებით მცირერიცხოვანია და ერთი მორფემის ფარგლებში გააჩნია კომბინატორული შეზღუდვა – იგი არ შეინიშნება ლატერალურ, ფარინგალურ და ლარინგალურ თანხმოვნებთან [არდოტელი 2014 : 58-59; შდრ. ბარნოვი 1998 : 60].

ზემონახსენები კომპლექსების გარდა, დასტურდება **ჩქამიერი + სონორი (C + S)** მიმდევრობის ჯგუფები, რომლებიც ნაკლებად გავრცელებული და მცირე რიცხოვანია [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 25].

1.4.2. **გემინატები.** გემინატები მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ინტენსიური თანხმოვნებისაგან, როგორც ორპიკიანი გაორმაგებული (ორი ერთგვარი თანხმოვნის მჭიდროდ დაკავშირებული) ფონემების ჯამი ცალმაგი ფონემისაგან, რომლებიც ფაქტობრივ იდენტურ თანხმოვანთკომპლექსს ქმნიან [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 49-52; არდოტელი 2009 : 166-170]. ექვს გარეშეა, რომ ამჟამად დიდოურ ენათა სინამდვილეში ინტენსივობის კორელაცია არ არსებობს, ვინაიდან სიმაგრის მიხედვით დაპირისპირება ფონოლოგიურად ელიმინირებულია.

ბეჟიტურ ენაში დასტურდება გაორმაგებული თანხმოვნები, რომლებიც ოდენ ინტერვოკალურ პოზიციაში ფუძის ბოლოკიდურად გვხვდებიან, მაგ.: საკ. ბეჟ. იწწო „ახალი“,

ხეტო „მსხვილი“...; ჰუნზ. ლ'ამმუ „წვრილი“, ჭიხხუ „შორს“ და მისთ.

გემინირებული თანხმოვნთჯგუფები წარმოქმნილია ძირითადად სამი გზით :ა) ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის საკომპენსაციო დაკარგვით: კაპ. დუნნალ // < დუნნიდალ...; ჰუნზ. ხუტტუ (< ხაშ. ხეტიდო) „მსხვილი“...; ბ) მეზობელ თანხმოვანთან ასიმილაციით: ბეჟ. ოქქო < ქართ. ოქრო, გიცცა < გიტცა „ასხამს“...; გ) ექსპრესიული გემინაციით: ახო „ძალიან“ – ახხო „ძლიერად“, ბედო // ბედდო „შემდეგ“, „მერე“ და ა. შ.

1.5. მარცვალი. ჩვენი აზრით, დახურულ მარცვლად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ინტერკონსონანტური ხმოვნის შემცველი მარცვალი, მაგ.: ქიდ „გოგო“, დობ-თურ „ექიმი“ და მისთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალ'-ნა („შვიდი“) სიტყვაში ალ'- ფონოლოგიური ასპექტით ისეთივე ღიაა, როგორც -ნა. მარცხნივ გავრცობილი ღია მარცვალი ენობრივი უნივერსალია და თითქმის ყველა ენას მოეპოვება [იაკობსონი და ჰალე 1962 : 268]. ამიტომ პრეპოზიციური ღიაობა ისეთივე ღირებულია, როგორც პოსტპოზიციური.

1.5.1. მარცვლის სტრუქტურა. ბეჟიტურ ენაში მარცვლის წარმოქმნა შეუძლია მხოლოდ ხმოვან-ფონემას, ამიტომ ერთ მარცვალში ოდენ ერთი ხმოვანი გვაქვს. დასტურდება როგორც დახურული, ისე ღია მარცვალი. ღია მარცვალთა რაოდენობა დახურულ მარცვალთა რიცხვს სჭარბობს, მაგ.: ა-ზო „ზაფხული“, ა-ტა-ლო „პარკი“, უა-ცა „მეგობარი“, ზა-ლ'ო „ქარი“ და მრ. სხვ.

ინლაუტში გვხვდება შემდეგი სილაბური მოდელები: CV, SV, CVS, SVC, CVC, SVS, CSVS, SCV.

აუსლაუტში მარცვალი მარჯვნივ შეიძლება გაივრცოს მხოლოდ და მხოლოდ ერთი თანხმოვნით. ამ წესიდან გადახრები ანომალიურია. აუსლაუტში ძალიან ხშირად დასტურდება SV, CV სილაბური მოდელები, შედარებით ნაკლებად გვხვდება SVC, CVS, CVC, SVS.

1.5.2. მარცვალთგასაყრის საკითხისათვის. ფონემატურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით ჩამოვყალიბებთ დამარცვლის ხუთ წესს:

1. ერთ მარცვალში მხოლოდ ერთი ხმოვანი გვაქვს. 2. ინტერკონსონანტური ხმოვანი, თუ მას მოსდევს ერთი თანხმოვანი, წინამავალ თანხმოვანს ეკედლება: ი-და-რა „მართველობა“, ბა-წო „მგელი“...; 3. ინტერვოკალური თანხმოვანი ეკუთვნის მომდევნო ხმოვანს, მაგ.: ი-სი „და“, ა-ჰო „ცოლი“...; 4. ინტერვოკალურ პოზიციაში ორი ან ორზე მეტი თანხმოვიდან პირველი პირველ მარცვალს ეკუთვნის, დანარჩენები კი – მომდევნოს: ქორ-თო „ჭურჭელი“, წოდორ-ლ'ი...; 5. მარცვალთგასაყარი დაიდება გაორმაგებული თანხმოვნის ცენტრზე პიკებს შორის და გაიყოფა ორად: ჯუს-სუ „ვიწრო“, ლახ-ხი „ბევრი“ და მისთ.

1.6. მახვილი. ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამჟამად ბეჟიტური ენის სიტყვათმახვილი სუსტი დინამიკური და არაფიქსირებულია. მას-

თან, მას შეიძლება დისტინქციური ფუნქციაც გააჩნდეს. მახვილი ჩვეულებრივ თავმარცვალს ან მეორე მარცვალს ეცემა, თუმცა არსებობს მუდმივმახვილიანი ფუძეები, რომლებსაც ფლექსია-დერივაციისას მახვილი ერთსა და იმავე ხმოვანზე ექნებათ ლოკალიზებული [ლომთაძე 1984].

თავი II. ფონეტიკური პროცესები

2.2. კომბინაციური ფონეტიკური პროცესები

2.2.1. ხმოვანთა კომბინაციური პროცესები. 1) ბეჟიტური ენის დიალექტებსა და თქმებში შეინიშნება ხმოვანთა ალტერნატიული მოვლენები: ა ~ ე:ი ნაჟი (კაპ.) – ნეზი (ხაშ.) – ნიჟი (ჰუნზ.) „ნიორი“...; ე ~ ო: ე^ჰხე (კაპ.) – ეხო (ხაშ.) „მდინარე“...; ი ~ ე: ზაჟი (კაპ.) – ზაჟე (ხაშ.) „ზაქი“...; ა ~ ო: ჭანილაჟას (კაპ.) – ჭანილოს (ჰუნზ.) „ალისფერი“...; ი ~ ა: მილ'ო (კაპ.) – მალუ (ჰუნზ.) „ფრჩხილი“...; ო ~ უ: ზიქრო (კაპ.) – ზიქრუ (ხაშ.) „ლოცვა“...; უ ~ ო: ხაღუ (კაპ.) – ხაღო (ტლ.) „ხახვი“...

2) ხაზარხოტულ თქმაში გვხვდება ხმოვანთა გაჩენის შემთხვევები ინლაუტსა და აუსლაუტში, მაგ.: კაპ. გოტ – ხაშ. გოტი „კვამლი“, კაპ. ჰაჰ – ხაშ. ჰარე.

3) გავრცელებულია ხმოვანთა რედუქცია – მახვილიანი ხმოვნის ზემოქმედებით უმახვილო ხმოვანი ნაწილობრივ ან მთლიანად რედუცირდება: საკ. ბეჟ. უშთელ < უშითელ (შდრ. რუს. учитель) „მასწავლებელი“, გელი > გეი > გეჰ „არის“ და მისთ.

4) დასტურდება აპოკოპეს მაგალითები: ოჟო „ვაჟი“ – ერგ. ოჟ-დრ (< ოჟო-დრ) „ვაჟმა“, სიღო „რა“ – ერგ. სინ-ლრ, ჩიკე „თიკანი“ – ჩიკ-ბა...

5) ორივე დიალექტისთვის ნიშანდობლივია ხმოვანთა შერწყმის საფუძველზე გრძელი ხმოვნების ფორმირება: საკ. ბეჟ. ჰალმადლა „ამხანაგები“ – ერგ. ჰალმადლან (< ჰალმადლა-ღო)...; ჰუნზ. ჩახდ-ან (< *ჩახდა-ა < *ჩახდა-ალ) „წერა“...

6) ხმოვანთა სინკოპირების ასპექტით საინტერესოა ზოგი ნასესხობა: ჰერესი „ტყუილი“ – ჰერსუჯან „მატყუარა“, ალბალი (< ქართ.) „ალუბალი“ და სხვ. მისთ.

7) ბეჟიტურ ენაში დასტურდება როგორც აღმავალი (აჰ-, აჟ-...; უჰ-, უჟ-...), ისე დამავალი (-აჰ, -აჟ...; -აჟ, -აჟ...) დიფთონგები, რომლებიც უპირატესად ერთგვაროვან ცვლილებებს ემორჩილებიან. გარდა ამისა, უნდა გაიმიჯნოს პოზიციური დიფთონგი ისტორიული დიფთონგისაგან. არაიშვიათად პოზიციური დიფთონგი იქმნება C + W კომპლექსის მოშლის საფუძველზე (C + W > W), როცა ამ კომპლექსის მეორე კომპონენტი მეზობელ ხმოვანთან არტიკულაციის უმოკლესი გზის წესის რეალიზაციით აღმავალ

დიფთონგს ქმნის, მაგ.: ჰუნზ. ჟჷ (< *ლჷჷ) „ძალი“, ჟჷდჷ (< *ლჷჷდჷ) „დე“ და ა. შ.

რაც შეეხება ისტორიულ დიფთონგს, მას კლასიფიკატორი ქმნის: ეე-ცა „ვჷჷამ“, ეუ-ყო „დიდი“ და მრ. მისთ.

2.2.2. თანხმოვანთა კომბინაციური პროცესებიდან ნიშანდობლივია: 1) თანხმოვანთა დაკარგვა: კაპ. ი^ნზ – ხაშ. იზ „ცხრილი“, კაპ. ა^ნც, ჰუნზ. ე^ნცუ – ხაშ. აც „კარი“...; 2) ასიმილაცია: „ბეზხი < ბეჷხი < ჴეზხი (< ქართ.) „ვეფხვი“, გოგრა (ხაშ.) – გოგა (კაპ.) „ზარი“, ოქრო (ხაშ. < ქართ.) – ოქქო (კაპ.) „ოქრო“, შადტან „ემმკი“ – შადტალ-ლა (< შადტან-ლა) „ემმაკები“...; 3) სისინა სიბილანტთა გაშიშინება, რაც რეალიზებულია წინა რიგის ე, ი ხმოვანთა და ა სონანტის მეზობლად, ამიტომაც იგი პალატალიზაციად კვალიფიცირდება: კაპ-ხაშ. გეზა – ტლად. გეჷა „ლილი“, კაპ.-ხაშ. სიჲო – ტლად. შიჷო „რა“ და მისთ.

საყურადღებოა, რომ პალატალიზაციას უკანამავალი ე და ი ხმოვნები იწვევენ, მაგ.: დიე-ალ „ჩეჷვა“ – კაუზ. დიჩელ-ალ, ღეს-ალ „ჩაკეტვა“ – ნამყ. ღეშენა „ჩაკეტა“ და მისთ.

4) შიშინა სიბილანტთა გასისინება უფრო მეტად კაპუჷურსა და ხაშარხოტულ თქმებს ახასიათებს: ტლ. დეშ-ალ – კაპ. დეს-ალ „ჷამა“, ჰუნზ. ბეჩ-ა – ხაშ. დეც-ალ „ყოფნა“, „არსებობა“, ჰუნზ. ჟეჷ-ა – კაპ. ჴიზ-ალ „შეწვა“, „შეხრაკვა“ და სხვ.

თავი III. მორფოლოგია

3.1. **ზოგადი.** ფონოლოგიური და მორფოლოგიური მოვლენები და, აქედან გამომდინარე, კანონზომიერებანი ენობრივი იერარქიის სათანადო დონეზე საკმაოდ მკაფიოდ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული. მიუხედავად ამისა, ენის გლობალურ სისტემაში ფონოლოგიურ-ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესები თანაარსებობენ და ერთმანეთზე მეტ-ნაკლებ ზემოქმედებას ახდენენ, რაც თავისებურად აისახება ენათმეცნიერების შუალედურ რგოლში – მორფოლოგიაში.

3.2. **ჰიატუსის სუპერაციისათვის.** ბეჟიტური ენისათვის ერთი სიტყვის ფარგლებში დამახასიათებელი არ არის ვოკალური კლასტერები. ხმოვანთა თავყრის სუპერაცია ხდება ძირითადად სამი გზით: 1) ხმოვანთა შერწყმით, 2) ეპენტეზისით, 3) კვეცით.

1) გრძელი ხმოვნების შერწყმისა და ამ გზით ჰიატუსის დაძლევის რამდენიმე წესი არსებობს: ა) ორი ერთნაირი ხმოვნის შერწყმით მიიღება გრძელი ხმოვანი $V+V>\bar{V}$: საკ. ბეჟ. ბისა „თევზი“ – მრ. რ. ბისა (< ბისა-ა) ...; ჰუნზ. ნგლ'ა-ა-ყო (< ნგლ'ა-ა-ყო < ნგლ'ა-ა-ყო) „არ მისცე!“...; ბ) ერთად მოხვედრილ ხმოვანთა შერწყმა $V + C(S) + V > V + V > \bar{V}$: საკ. ბეჟ. ძოს (< ძოჟოს) „აკეთებს“...; გ) თანხმოვანთა საკონპენსაციო რედუქციით წარმოიქმნება გრძელი ხმოვნები $V + C(S) > \bar{V}$: საკ. ბეჟ. ოჟო-და (< ოჟო-დალ, შდრ. ჰუნზ. ოჟ-დალ "id.") „ვაჟები“...; ჰუნზ. ობუ (< ობუ-ლ, შდრ. საკ. ბეჟ. აბო-ლ "id.") „მამას“ და მისთ.

2) ეპენტეზისის დროს მეტად პროდუქტიულია სონანტების (ა, უ) და გლაიდის (ჟ) ჩართვა ინტერვოკალურ პოზიციაში, რაც სათანადო მორფემათა (CV- – -VC) მიმდევრობაში წარმოიქმნება და მისი გამარტივება ფონემატური მოთხოვნით არის ნაკარნახევი [იხ. 1.1.5].

3.3. **სიბილანტთა გაშიშინების საკითხისათვის.** ბეჟიტურში სისინა სიბილანტთა გაშიშინება პოზიციურად აიხსნება. კერძოდ, სისინა სიბილანტები შესაბამის შიშინებად გარდაიქმნიებიან წინა რიგის ე, ი ხმოვანთა და სონანტ ა-ს გავლენით, რაც პალატალიზაციად კვალიფიცირდება [გუდავა 1979 : 46].

3.4. **პალატალიზაციის თავისებურებანი.** ცნობილია, რომ ბეჟიტურ ენაში პალატალიზაცია გულისხმობს ხმოვანთა ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციას, რისი ფორმულებიც ასე წარმოგვიდგება: ა + ი, ე, ა > ა, ო + ი, ე, ა > ო, უ + ი, ე, ა > უ.

ზემომოყვანილი ფორმულების რეალიზაცია ხდება ძირ-ფუძისეულ მორფემებში, მაგრამ არაიშვიათად ფუძის პალატალიზებული ხმოვნის გავლენით იგი თავს იჩენს ფლექსიურ და დერივაციულ აფიქსებშიც.

3.5. ხელშესახებია ამა თუ იმ სეგმენტის დართვისას ხმოვნის (resp. მთლიანი მარცვლის)

სინკოპირება , მაგ.: ჟაჰდი (< ჟა ჰუდი) „ეს“, ჟაჰლი (< ჟა ჰული) „ეგ“ და მისთ.

3. 6. მორფემათა ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები. დიდოურ ენებში I გრამატიკული კლასის ნიშანი არ ფიგურირებს გამოხატულების პლანში, თუმცა შინაარსის პლანში, იგი ჩვეულებრივად მარკირებულია. ნულოვანი მორფემით (Ø-) გამოხატული I კლასი ამჟამად თავისი უნიშნობით უპირისპირდება სხვა კლასებს. I კლასის ექსპონენტის დაკარგვა შეპირობებულია არა ფონეტიკურად, არამედ მორფოლოგიური ფაქტორით – კლას-ნიშანთა მოშლის საერთო ტენდენციით. I კლასის ექსპონენტის დაკარგვამ გამოიწვია ძირ-ფუძეთა ფონემატური სტრუქტურის ცვლილება და თანხმოვანთკომპლექსის მასუპერიორული ხმოვნები ფუძის კუთვნილებად იქცა (*ჟ-ი-სი > ისი > ის „ძმა“, *ჟ-ი-სი > ისი „და“...).

ყურადღებას იქცევს III კლასის **ბ**- ექსპონენტის ტრანსფორმაცია ნაზალიზებული ხმოვნის შემცველ ზმნურ ფუძეებში, რომლებშიც **ბ** > **მ** (> **ნ**), მაგ.: კაპ. Ø^ნტერ (I კლ.), **ჟ**-^ნტერ (II კლ.), **მ**-ეტერ || > **ნ**-ეტერ (III კლ.) „წავიდა“; ჰუნზ. **მ**-აყერ (< **ბ**-აყერ) „მოვიდა“... [იხ. 4.2.1].

3. 7. ფუძისა და სუფიქსის ურთიერთდამოკიდებულებისათვის. მორფემათა ურთიერთდაკავშირების დროს თავს იჩენს ფონეტიკური ცვლილებები, რომელთა ჩამოყალიბება მორფოლოგიის მოთხოვნით ხდება, ხოლო ამგვარი ენობრივი მოვლენების რეალიზაციით მიღებული ენისთვის უჩვეულო შედეგების დაძლევა სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით (კვეცა, ხმოვანთა ჩართვა, თანხმოვანთა გემინაცია, ჰაპლოლოგია, ხმოვანთა ალტერნაცია, ხმოვანთა შერწყმა...) ხორციელდება.

მორფოლოგია

თავი IV. გრამატიკული კლასის კატეგორია

4.1. გრამატიკული კლასების სისტემა. სახელთა კლასიფიკაციისათვის გამოყენებულია ორი საშუალება: 1) სახელთა სემანტიკური დაჯგუფება ხდება კლასის ექსპონენტებით; 2) კლასთა დაპირისპირება გაირჩევა ფუძეთმონაცვლეობით, ან ხმოვანთა ალტერნაციით.

4.1.1. გრამატიკული კლასები და მათი ნიშნები. ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში გარჩეულია ოთხი კლასი. სინქრონიულ დონეზე სუბსტანტივთა შედგენილობაში ცოცხალი კლასის ნიშნები არ მოგვეპოვება. ამჟამად სახელთაგან ცოცხალი კლასიფიკატორები მარტოდენ ატრიბუტულ სახელებს აქვთ და მათ კლას-ნიშანი ყოველთვის პრეფიქსად მოუდის. გაქვავებული კლასის ექსპონენტები შეიძლება ინფიქსად ან სუფიქსად შეგვხვდეს, თუმცა კლასის მოქმედი ნიშნები რეალურად დასტურდება ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმებში.

კლას-ნიშანთა სისტემა ამგვარია: პირველი კლასი ნულოვანი მორფემით (Ø) არის წარმოდგენილი, რომელსაც ინფიქსად შესაძლოა სრული სახე (ჟ) ჰქონდეს, მეორე კლასის ნიშანია **ა**, III კლასის ნიშნად **ბ, მ, ნ** გვხვდება, ხოლო IV კლასის ნიშნად კი – **რ (ა, ნ)**. მრავლობით რიცხვში მკაფიოდ არის გამიჯნული ადამიანისა (გონიერისა) და არაადამიანის (არაგონიერის) გამომხატველი სახელები. I კლასში ექცევა მხოლოობითის I და II კლასთა სახელები, რომლებიც მესამე კლასის ექსპონენტს (**ბ, მ, ნ**) იყენებს, ხოლო II კლასში ერთიანდება ყველა სხვა დანარჩენი სახელი და ნიშნად IV კლასის ექსპონენტი (**რ, ა, ნ**) აქვთ.

გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები სქემატურად:

კლასი \ რიცხვი	I	II	III	IV
მხოლოობითი	Ø (ჟ)	ა	ბ (მ, ნ)	რ, ა (ნ)
მრავლობითი	ბ (მ, ნ)		რ, ა (ნ)	

4.1.2. სახელთა კლასიფიკაცია კლას-კატეგორიის მიხედვით. გრამატიკული კლასების მიხედვით სახელები შემდეგნაირად ჯგუფდება: I გრამატიკულ კლასში (Ø, ჟ) ექცევა მამაკაცი და მასთან გათანაბრებული არსებანი, რელიგიური და მითოლოგიური ცნებები: ალლაჰ ღმერთი“, ფაჩაჰ. „მეფე“, ადამ „ადამიანი“, აზო „მამა“, ის „მმა“, მალაქ „ანგელოზი“, ნართაჟ „ნართი“...; II გრამატიკულ კლასში (ა) ერთიანდება ქალი და მასთან გათანაბრებული არსებანი, ზოგი მითოლოგიური და ზღაპრული პერსონაჟის სახელი, აგრეთვე ცალკეული კონკრეტული თუ აბსტრაქტული სახელწოდება: ავო „ქალი“, „ცოლი“, იო „დედა“, ისი „და“,

ქიდ „გოგო“, წართაჲ „როკაპი“, ზოკო „სოკო“, ოწზ „თოვლი“...; **III გრამატიკულ კლასს** განეკუთვნება ცხოველთა და მწერთა სახელების ძირითადი ნაწილი, ხილის, ხე-მცენარეთა და ბუნების მოვლენათა სახელწოდებანი, საამშენებლო ლექსიკა და ტანსაცმლის სახელთა ერთი წყება, საამშენებლო იარაღებისა და კვების პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკა, დაავადებათა და კრებითი მნიშვნელობის სუბსტანტივთა გამომხატველი სახელები: ბაწო „მგელი“, უაჲა „ძროხა“, ბიშე „ხბო“, ტიგა „ვაცი“, წიქე „რწყილი“, ილბა „მტრედი“, ილბის „კუდიანი“, კადო „კიბე“, ცაწ „ვარსკვლავი“, უნთი „ავადმყოფობა“...; **IV გრამატიკული კლასი** მოიცავს სხვადასხვაგვარი ნივთებისა და ნადირ-ფრინველთა გამომხატველი ლექსიკის მცირე ნაწილს, ბუნების მოვლენების, ადამიანის ორგანიზმისა და მშენებლობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას, განყენებული ცნებებისა და მოვლენების აღმნიშვნელ სახელებს: ბაქ „სპილენძი“, ქილ „რკინა“, ჭიტ „დანა“, ჭე „ქერი“, წულუ „ისარი“, უოდო 1. „დღე“, 2. „წვიმა“, ააკო „გული“, ინსანლი „კაცობრიობა“ და ა. შ.

4.1.3. გრამატიკული კლასის ნიშანი ინფიქსად. ბეჟიტური ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმებში ინფიქსად დაჩნდება -**უა-**, -**აჲ-**, -**ბა-**, -**ა/-ა-** (საკ. ბეჟ.), -**უა-**, -**აჲ-**, -**ა/-ა-**, -**ო/-ო-** (ჰუნზ.) ოდენობანი, რომლებიც სახელთა მრავლობითობის სუფიქსებს უკავშირდებიან, მაგ.:

საკ. ბეჟ.		ჰუნზ.	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
	- უა-		- უა-
ზუყრ „იყო“	ზუ- უა -ყრ	ბუჰუ „კვდება“	ბუ- უა -ჰე
	- ბა- :		- ბა- :
ღეგადო „ნახა“	ბეგა- ბა -დო	ენდუქე „შედის“	ენდუ- ბა -ქე
კიშაჩ „თამაშობს“	კიშა- ბა -ჩ	წოდარ „ისწავლა“	წოდა- ბა -რ...

5.1. **რიცხვი ზოგადად.** ბეჟიტურ ენაში გვხვდება მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ორი სახეობა: ა) **ლექსიკური**, რომელიც ძირითადად ნაცვალსახელის, რიცხვითი სახელისა და ზოგიერთი ზმნიზედის კუთვნილებაა; ბ) **მორფოლოგიური**, რომელიც არსებითი სახელის სადერივაციო ნიშნების საშუალებით ზედსართავი სახელისა და ზმნის ფორმაწარმოებას გულისხმობს.

5.2. **მრავლობითი რიცხვის წარმოება არსებით სახელებში.** ა) მრავლობითი რიცხვის სუფიქსური საშუალებით წარმოებისას გამოიყოფა როგორც მრავლობითობის საერთო ფორმანტები (-ა, -ჟა, -რა, -ბა, -და, -ლა, -ნა; აგრეთვე: -რო [>-რ], -ო [>-უ]), ისე ამა თუ იმ დიალექტ-კილოკავებისთვის ნიშანდობლივი მაწარმოებლებიც (-**როლ**, -**წალ**, -**ლალ**, -**არა**, -**ნარა**...). ეს სუფიქსები სხვადასხვა სიხშირით იხმარებიან და მეტ-ნაკლები ხვედრითი წონა აქვთ მრავლობითობის წარმოებაში.

ბ) მრავლობითი რიცხვის წარმოებაში არაიშვიათად გამოიყენება შინაგანი ფლექსია, მაგ.: მატო (ჰუნზ. მატტუ) „ლოდი“ – მატა, პეპელო „პეპელა“ – პეპელა და სხვ.

ბეჟიტურში მრავლობითის საწარმოებელ სუფიქსთა ერთი წყება ფაკულტატურად ფუნქციონირებს, მაგ.: ბიცო „ხელი“ – ბიცო-ჟა || ბიცო-და, ქეტე „კოვზი“ – ქეტე-მა || ქეტ-ბო...

5.3. **მრავლობითი რიცხვის განსაზღვრული ფორმები.** ამგვარი სახელები მარტოდენ ბეჟიტური ენის საკ. ბეჟიტური დიალექტის კუთვნილებაა [ხალილოვი 1985 : 136-138]: მიღ „კუდი“ – მრ. რ. მიღ-ა, განს. მრ. რ. მიღ-ლა, ბაწო „მგელი“ – მრ. რ. ბაწ-ა, განს. მრ. რ. ბაწ-ბო და სხვ.

ანალოგიური ოპოზიცია შეიმჩნევა კრებითობის გამომხატველსა და განუსაზღვრელ მრავლობითის ფორმებს შორის: მუყო „ლურსმანი“ – განს. მრ. მუყო-და – კრ. მრ. მუყო...

5.4. **ატრიბუტულ სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება.** ზედსართავი სახელების მრავლობითობა იწარმოება შემდეგი სუფიქსებით: საკ. ბეჟ. -ა (ლ'იფოს „ქვედა“ – ლ'იფოს-ა), -**მა** (ნიყა „მწარე“ – ნიყა-მა), -**ჟნ** (კოკო „ავადმყოფი“ – კოკო-ჟნ), -**ლა** (ბერსინაბ „ლამაზი“ – ბერსინაბ-ლა)...; ჰუნზ. -**არ** (ქიქირ-უ „წვრილი“ – ქიქირ-არ), -**ლა** (მისქინ „ღარიბი“ – მისქინ-ლა).

6.1. **არსებითი სახელის ბრუნვა.** ბეჭიტური ენის ბრუნვათა სისტემაში გაირჩევა ორი ჯგუფი: ა) ძირითადი (კონკრეტული) და ბ) ლოკატიური (აბსტრაქტული). ძირითად ბრუნვათა ჯგუფში ხუთი ბრუნვა გამოიყოფა: 1) სახელობითი, 2) ერგატივი, 3) მიცემითი, 4) ნათესაობითი, 5) ინსტრუმენტალისი. ლოკატიურ ბრუნვათა ჯგუფი ხუთ ბრუნვასა და ცხრა სერიას აერთიანებს.

ბეჭიტურ ენაში ბრუნების ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: 1) მარტივფუძიანი და 2) რთულფუძიანი. ამასთანავე, შეინიშნება ფუძეთა ანომალიური წარმოებაც.

6. 1. 1. **ძირითადი ბრუნვები.** ძირითად ბრუნვათა მორფოლოგიური ნიშნები სქემატურად ასე გამოიხატება:

ა) საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი

ბრუნვები	ბრუნვათა ნიშნები	ბრუნების ნიმუში	ლექსიკური მნიშვნელობა
სახელობითი	–	სორა	მელა
ერგატივი	-ლო, -ლ, -∅	სორალი	მელამ
მიცემითი	-ლ	სორალი-ლ	მელას
ნათესაობითი	-ს, -შ	სორალი-ს	მელას(ი)
ინსტრუმენტალისი	-დო, -დ	სორალი-დ	მელათი

ბ) ჰუნზიბური დიალექტი

ბრუნვები	ბრუნვათა ნიშნები	ბრუნების ნიმუში	ლექსიკური მნიშვნელობა
სახელობითი	–	თოფი	თოფი
ერგატივი	-ლო, -ლ	თოფილ-ლო	თოფმა
მიცემითი	- \bar{V}	თოფილ- \bar{V}	თოფს
ნათესაობითი	-ს	თოფილო-ს	თოფის
ინსტრუმენტალისი	-დო, -დ	თოფილ-დო	თოფით

6.1.2. **საბრუნებელი სახელის ფუძე.** ფუძედ გამოიყოფა: ა) მხოლოდობითი რიცხვის წმინდა (პირდაპირი) ფუძე, რომელიც სახელობითის ფორმას ეთანაბრება; ბ) ერგატივისა და ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფუძე; გ) მრავლობითი რიცხვის ბაზისური ფუძე; დ) მრავლობითის ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძე.

მართალია, ირიბი ფუძე ძირითადად სახელობითი ბრუნვის არამარკირებულ ფორმას ემყარება, მაგრამ ზოგჯერ მისგან მკაფიოდაც განსხვავდება. ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა

ფუძე იწარმოება სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან სხვადასხვა წარმომავლობის ელემენტების (დამაკავშირებელი ხმოვნების) დართვით. ეს ელემენტებია: საკ. ბეჟ. -ა, -ო, -ი (>//-მ), -ე, -დი (> -ტი), -ბა, -ლი, -ლა; ჰუნზ. -ა, -ო, -ი, -ე, -დი, -დო, -დუ, -ბო, -ლი, -ლა, -ლო, -მო, -რუ, -რა, -რო, -მო. ფუძის ამგვარი ფორმანტები შეიძლება დაიშალოს შესაბამის თანხმოვნურ (სავრცობი, დეტერმინანტი, ბრუნვის ოდინდელი ნიშანი) და ხმოვნურ (ე. წ. დამაკავშირებელი ხმოვანი) ელემენტებად.

6. 1. 3. **ლოკატიური ბრუნვები.** ლოკატიურ ბრუნვათა სისტემა საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ცხრა სერიას ქმნის, ხოლო ჰუნზიურ დიალექტში – რვა სერიას. თითოეულ სერიას ხუთი (საკ. ბეჟ.) ან ოთხი (ჰუნზ.) ბრუნვა აქვს, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: ა) სტატიკური: **ადგილობითი** (Locativus) (სად?), ბ) დინამიკური: **დგილობითი** (Allativus) (საითკენ?), **დაშორებითი** (Elativus) (საიდან?), **თანაობითი** (რასთან ერთად?), **შუალობითი** (Translativus) (რის გავლით?). ჰუნზიურში ანალოგიური სურათი დასტურდება იმ განსხვავებით, რომ თანაობითი ბრუნვა ცალკე არ გამოიყოფა. სქემატურად:

ა) საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

სერია	ნიშანი	სემანტიკა	საილუსტრ. მაგალითები
I სერია	-ტა	„ზე“, „ზედ“ (ჰორიზონტალურად)	ქილიავრი სიდ ალტა ჰოს რაჯცა „ქლიავი ერთ ტოტზე ერთი აბია („იქნება“).
II სერია	-ლ	„ზე“ (ვერტიკალურად)	შედი-ლ ონზ გემ „კლდეზე თოვლი არის“
III სერია	-ჯა	„თან“ (მიც. ფუნქციით)	ნილ'ა ონქო აბო-ჯა! „მიეცი ფული მამას!“
IV სერია	-და	„თან“, „მახლობლად“	ისი-და რჟრ გემ „დის ახლოს ვაჟი არის“
V სერია	-ც/-ცო	„ში“, „შიგნით“	დო ეტერო თელავრიდა-ც „მე წავედი თელავში“
VI სერია	-ლაჟ	„ად“ (მიც. მნიშვნელობით), „ში“	ჭადი-ლაჟ ცა გემ „ჭადში მარლი არის“
VII სერია	-ლომ	„ით“, „თან“, „ერთად“	რჟდი-ლომ ბიშე მეტეემო „ბიჭ-

			თან ერთად ხზო წავიდა”
VIII სერია	-დომ	„ში”, „კენ”, „მახლობ- ლად”	დი-დომ ქაღაა დოყო „მე („ჩემს- კენ”) წერილი მომივიდა”
IX სერია	-ლ'	„ქვეშ”	ცისტოლია-ლ' ლ'ირო ტაქანი გელი (ლომთ. 2003 : 181) „მაგი- დის ქვეშ, დაბლა, ჭიქა არის”

ბ) ჰუნზიბური დიალექტი

სერია	ნიშანი	სემანტიკა	საილუსტრ. მაგალითები
I სერია	-ტო/-ტო	„ზე”, „ზედ” (ჰორიზონტალურად)	ზგ ბანდ ხოხ-ტო ტოდო ჴუჩენ ლო „ის ამ ხეზე ზედ ახტა”
II სერია	-ლ'	„ზე” (ვერტიკალურად)	ტოყოლ ბანბლან ლო ნასუ-ლ' „ქუდი კი- დია კედელზე” („კედელს”)
III სერია	-გ/-გო	„თან”, „გვერდით” (მიც. მნიშვნელობით)	...ქანგ სან-სანგდ-გო ჰანსჰიტ ყურუმ ოქ- რო ნელ'ან ლი „...ხელში თითოეულს ასი ოქრო მისცა”
IV სერია	-ღურ	„თან”, „მახლობ- ლად”, „ურთ”	სან ხოზ-ღურ იჩოქერ „მელა ხესთან მი- ვიდა”
V სერია	-წ	„ში”, „შიგნით”	...ანგი ქეჭრილ-ან ეწდუ დიდ ღინო ლო (ვან 1995:215) „იმ ქვევრში შიგ ჩემი ღვინო არის”
VI სერია	-დარ	„კენ”	ობუ ბეტერ ჰორო-დარ „მამა წავიდა ძროხებისკენ”
VII სერია	-ლ'	„ქვეშ”, „ძირს”	გამაჭა-ლ' გეს ლო „ქვის ქვეშ წყარო არის”
VIII სერია	-ტოტო	„ვინმეს (რამის) გავლით”	ეწი-ტოტო ტგრან გულურ (ისაყ., ხალ. 2001 : 265) „მდინარეზე ხიდი გადვეს”
IX სერია	-დიდა	„თვის”	დიბი-დიდა იაულ წგნდარ რუტო „შენ- თვის დედა წინდებს ქსოვს”

6.2. ზედსართავი სახელი. ზედსართავი, როგორც საგნის ნიშან-თვისების გამომხატველი ატრიბუტული სახელი, როგორც წესი, არსებითი სახელის მსაზღვრელად

არის გამოყენებული და ამ უკანასკნელს სათანადო სინტაგმაში ჩვეულებრივ წინ უსწრებს. კლასიფიკატორის შემცველ ზედსართავში სათანადო საზღვრულის კლასი აღინიშნება, მაგ.: **მ-უყო ქიდ** „დიდი გოგო“, **ბ-აყო ბისა** „მძიმე თევზი“ და ა. შ.

6.2.1. ზედსართავი სახელის ჯგუფები და მათი წარმოება. ბეჟიტურ ენაში გამოიყოფა ზედსართავი სახელის სამი ძირითადი ჯგუფი: 1) ვითარებითი, 2) მიმართებითი, 3) კუთვნილებითი.

კლას-კატეგორიის მიხედვით, ვითარებითი ზედსართავი სახელები იყოფა ორ ჯგუფად: ა) კლასნიშნიანი და ბ) უკლასნიშნო.

1) ვითარებითი ზედსართავები. ა) კლასნიშნიან ზედსართავებს კლასიფიკატორი პრეფიქსად დაერთვის და საზღვრულის სახელის კლასიფიკაციას ახდენს, მაგ.: საკ. ბეჟ.: **მ-იხალო** „გრძელი“, **მ-იხხო** „თბილი“, **მ-უყყო** „დიდი“...; ჰუნზ.: **რ-იყერუ** „პატარა“, **რ-ოყყუ** „მძიმე“, **რ-ეხხუ** „თბილი“ და სხვ. მისთ.

ბ) უკლასნიშნო ვითარებით ზედსართავებს განეკუთვნებიან: საკ. ბეჟ.: ბაჯანდიო „განსაცვიფრებელი“, შეშეო „ხშირი“, ჯუსსო „ვიწრო“...; ჰუნზ. აწწუ „მახვილი“, „ბასრი“, კოტტუ „კარგი“ და ა. შ.

2) მიმართებითი ზედსართავი სახელები იწარმოება სხვა სახელებისა და ზმნისართისაგან ნათესაობითის -ს სუფიქსის დართვით, მაგ.: საკ.-ბეჟ.: იტჲე-შ (შდრ. იტჲე „შარშან“) ბოხ „შარშანდელი თივა“, ხისა-ს (ტლ. ხიშა-შ) (შდრ. ხისა „ხვალ“) ჟოდო „ხვადინდელი დღე“...; ჰუნზ.: ჰასაიორ-ს „ცისფერი“, ჭანილორ-ს „ალისფერი“ და სხვ.

ჰუნზიზურ დიალექტში არსებით სახელს შეიძლება დაერთოს აგრეთვე დამხმარე სიტყვები **ლიდერ**, **ლოდერუ** („მქონე“), **გალოლო** („ერთად“), **გორჩხო** („არარსებული“), **გომსუ** („უქონელი“) და აწარმოოს მიმართებითი ზედსართავები, მაგ.: შუგურლიდერ „ცხენიანი“, აწყლოგორისუ „უჭკუო“, „გიჟი“ და მისთ.

ვ) კუთვნილებითი ზედსართავი სახელების გამოსახატავად საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი ისევ ნათესაობითს იყენებს, მაგრამ, მიმართებითი ზედსართავებისგან განსხვავებით, კუთვნილებითი ზედსართავები გავრცობილი (ე. წ. მეორე) ნათესაობითის ფორმას ემყარება, მაგ.: იოლოა-ს „დედობრივი“, ხალილა-ს „მეფისეული“ და ა. შ.

6.2.2. განსაზღვრულობის გამოხატვა ზედსართავებში. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის (resp. ემფატიკურობის) გამოსახატავად გამოიყენება დადესტნურ ენათა სინამდვილიდან კარგად ცნობილი მათრიბუტივებელი ფორმანტი -სო, რომელიც დაერთვის ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელის მზამზარეულ ფორმებს, მაგ.: წუდდო „წითელი“ – წუდდო-სო „წითელი რომელიცაა“, იტინო „პატარა“ – იტინო-სო „პატარა რომელიცაა“, რჟდის-ს „ვაჟის“ – რჟდის-სო „ვაჟისეული“ და მისთ.

6.2.3. ხარისხების წარმოება. უფროობითი ხარისხის გამოსახატავად შესაძარებელი სახელი დაისმის ესივის IV სერიაში, ხოლო თავად ზედსართავი უცვლელია, მაგ.: საკ. ბეჟ. ისი-და ის კეტო გედ „ძმა დაზე (ზედმიწ. „დასთან“) კარგია“ “...

ჰუნზიბურ დიალექტში შედარებითი ხარისხის სუფიქსად -ძრ, -ჟრ არის მიჩნეული [ვან დენ ბერგი 1995 : 50].

ბეჟიტურ ენაში ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით ან თანხმოვნის გაორმაგებით დადებითი ხარისხისგან სპორადულად იწარმოება უფროობითი ხარისხი, მაგ.: საკ. ბეჟ. აჰყჟ „მძიმე“ –აჰყჟ „უმძიმესი“, იცილო „მოხუცი“ – იცრლო „უხუცესი“ და ა. შ.

აღმატებითი ხარისხი გადმოიცემა დადებითი ხარისხის ფორმათა კომპოზიციით, მაგ.: იც-მიცილო (ჰუნზ. იჩ-მიჩილ "id".) „ძალიან მოხუცი“, რ-იტინო „ყველაზე პატარა“ (ზედმიწ. პატარ-პატარა) და ა. შ.

აღმატებითი ხარისხის სემანტიკა შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე ზმნისართებისა და გამაძლიერებელი ნაწილაკების დართვით: წაყ (< ხუნძ.) „ძალიან“, თელი (< ქართ.) „ბევრი“, „მთელი“, ლადი „ბევრი“, ბისსუნ || ბიშუნ „ყველაზე (მეტად)“

ოდნაობითობა იწარმოება -მო (საკ. ბეჟ.), -რ (ჰუნზ.) სუფიქსების დართვით, მაგ.: ნიძა (ჰუნზ. ნიძა-რ) „ტკბილი“ – ნიძა-ლ'ი (ჰუნზ. ნიძარ-ლ'ი) „სიტკბო“ – ნიძალ'ი-მო (ჰუნზ. ნიძარლ'ე-რ) „მოტკბო“...

6.5. ზედსართავ სახელთა ბრუნება. ზედსართავი სახელი წინადადებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძირითადად სამი ფუნქციით: ა) ატრიბუტივად, ბ) სუბსტანტივად და გ) პრედიკატული სინტაგმის სახელად ნაწილად.

1) თავისი ძირითადი (ატრიბუტიული) ფუნქციით გამოყენებული ზედსართავი სახელები მეტწილად უცვლელია, მაგრამ საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ერგატივისა და ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფორმები ზოგ ზედსართავს აუსლაუტური ხმოვნით განსხვავებული აქვს.

2) გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელები სუბსტანტიური ბრუნებით იბრუნვიან [იხ. მადიევა 1965: 94; ხალილოვი 1995 : 398].

3) პრედიკატულად გამოყენებული ზედსართავი სახელი, ჰუნზიბური დიალექტისაგან განსხვავებით, ბოლოკიდურ ხმოვანს არ იკვეცს, რაც ენკლიტიკის თავისებურებასთანაც ჩანს დაკავშირებული. სქემატურად:

ა) საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

ფუნქცია	ატრიბუტიული		სუბსტანტიური		პრედიკატული	
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
აბსოლუტ.	-ო, -(ა)-ბ	-ჰ, -ჟა,	-ო, -(ა)-ბ	-ა, -ჟა	-ო, -(ა)-ბ	-ა, -ჟა,

		-ლა, -აა		-ლა, -აა		-ლა
ირიბი	-ო, -ა, -(ა)-ბ-ლი		-ო, -ა, -(ა)-ბ-ლი		-ო, -ა, -(ა)-ბ-ლი	

ბ) ჰუნზიბური დიალექტი

ფუნქცია	ატრიბუტული		სუბსტანტიური		პრედიკატული	
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
აბსოლუტ.	-უ, -(ა)-ბ	-არ, -ლა	-უ, -(ა)-ბ	-არ, -ლა	-(-უ), -(ა)-ბ	-არ, -ლა
ირიბი	-უ/(-∅), -(ა)-ბ		-ო, -ა, -(ა)-ბ	-ალლა, -ლა		

ლოკატიური წესით ბრუნებისას ზედსართავები არსებითი სახელის ბრუნებას მისდევნ და რაიმე არსებითის გადახრა არ შეინიშნება.

6.3. რიცხვითი სახელი. გაირჩევა რიცხვით სახელთა ექვსი ჯგუფი: 1) რაოდენობითი, 2) რიგობითი, 3) წილობითი, 4) ჯერადობითი, 5) კრებითი, 6) დაყოფითი.

6.3.1. რიცხვითი სახელების წარმოება. 1) რაოდენობითი (ძირითადი) რიცხვითი სახელები. აგებულების მიხედვით, ძირითადი რიცხვითი სახელები იყოფა სამ ძირითად ქვეჯგუფად: ა) მარტივი (1-10, 20, 1000), 2) რთული (3+10=13), 3) შედგენილი (100+6+10+5=165).

მარტივი რაოდენობითი (ძირითადი) რიცხვითი სახელები (1-10, 20, 1000) იწარმოება სათანადო რიცხვითი სახელის ფუძისაგან -ნა (საკ. ბეჟ.), -ნო, -ნუ, -ნ, -ნრ (ჰუნზ.) სუფიქსების საშუალებით. ამასთანავე, ჰუნზ. დიალექტში -ნუ < -ნო (ო-ს დავიწროვებით), ხოლო -ნ დაერთვის იმ რიცხვითებს, რომელთა ფუძე მახვილიანი ხმოვნით სრულდება. სქემატურად:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

ჰუნზიბური დიალექტი

	პირდაპირი	ირიბი	პირდაპირი	ირიბი
2	ყრ-ნა	ყო-ლ	ყნ-ნუ	ყა-ნ
3	ლრ-ნა	ლრ-ლ	ლრ-ნრ	ლრ-ლ
4	რყრ-ნა	რყე-ლ	ოყრ-ნ	ოყე-ლ
5	ლრ-ნა	ლი-ლ	ლრ-ნო	ლი-ლ
6	რლ-ნა	ილრ-ლ	რლ-ნო	ილრ-ლ
7	ალ-ნა	ალ'ო-ლ	რლ'-ნო	რლ'ე-ლ
8	ბელ'-ნა	ბელ'ე-ლ	ბელ'-ნო	ბელ'ე-ლ
9	ჰჰე-ნა	ჰჰე-ლ	უჰი-ნ	უჰი-ლ
10	აწო-ნა	აწო-ლ	რწნ-ნ	რწნ-ლ
20	კრ-ნა	კო-ლ	კრ-ნო	კო-ლ
1000	ჰაზად-ნა	ჰაზად-ლ	ჰაზარ-ნო	ჰაზარ-ლი-ლ

რთული რიცხვითი სახელები (30, 40, 50, 60, 70, 80, 90, 100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900) ათეულთა წარმოებისას სათანადო ერთეულის გამომხატველ რიცხვით სახელზე და-
ირთავენ -იგ (კაპ.), -რიგ (ხაშ.-ტლად., ჰუნზ.) სუფიქსს (შდრ. ხუნძ. -რგო: ლ'ებე-რგო „30“):
საკ. ბეჟ. ლ'ანა-იგ „30“, ოწყონა-იგ (ტლად. ოყენა-რიგ) „40“...; ჰუნზ. ლ'ონო-რიგ „30“, ოყენ-
რიგ „40“ და ა. შ.

შედგენილი რიცხვითი სახელების წარმოების ფორმულები ამგვარია: ა) ათეული + ერ-
თეული: საკ. ბეჟ. აწო-ნა ჰოშ „11“, აწო-ნა ყონა „12“...; ჰუნზ. ოწწ-ნ ჰჰს „11“, ოწწ-ნ ყანუ „12“...;
ბ) ოცეული + ერთეული: საკ. ბეჟ. ჯო-ნა ჰოშ „21“, ჯო-ნა ყონა „22“...; ჰუნზ. ჯო-ნო ჰჰს „21“, ჯო-
ნო ლ'ი-ნო „25“ და ა. შ.; გ) ასეული + ათეული (resp. ოცეული) + ერთეული: ჰუნზ. ჰჰსჰიტ-ნო
ოყენრიგ-ნო ყანუ „142“, ყანუჰიტ-ნო ლ'ინორიგ-ნო ჰჰს „251“ და სხვ.

2) რიგობითი რიცხვითი სახელები. საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში რიგობითი რი-
ცხვითი სახელები ორგვარად იწარმოება: ა) „თქმა“ ზმნის ნამყოს მიმღეობის ძალ'ეო (ბე-
ჟიტ.), ძალ'ე-რო (ხაშ.), ძალ'ერო (ტლად.) („თქმული“) ფორმის დართვით, რომელიც სუფიქ-
სად არის გადააზრიანებული: ჰოშ-ძალ'ეო „პირველი“, ყონა-ძალ'ეო „მეორე“, ლ'ანაძგნა
ყონა-ძალ'ეო „ოცდამეთორმეტე“...; ბ) ამჟამად უფრო გავრცელებულია რიგობითი რიცხვი-
თი სახელების მეორე მოდელი, რომლის წარმოების ფორმულა ასე ჩაიწერება: რაოდენობითი
რიცხვითი სახელი + სუფიქსი -ს (< -სო): ყონა-ს „მეორე“, ლ'ინა-ს „მეხუთე“, ჯონა-ს „მეოცე“,
ჰოშჰიტნა-ს „მეასე“ და ა. შ.

ჰუნზიტურ დიალექტში რიგობით რიცხვით სახელთა საწარმოებელ სუფიქსად გვაქვს -
სჰ/-ს, მაგ.: ჰჰს-სჰ „პირველი“, ოყენო-ს „მეოთხე“, ჯონო-ს „მეოცე“ და ა. შ.

3) წილობითი რიცხვითი სახელები. წილობითი რიცხვითი სახელები იწარმოება აღწე-
რითად: ა) -ს/-სჰ სუფიქსიანი რიგობითი რიცხვითი სახელი + ბუტა (< ხუნძ.) „ნაწილი“: საკ.
ბეჟ. ლ'ანა-ს ბუტა „მესამედი“ (ზედმიწ. „მესამის ნაწილი“), ჰჰენა-ს ბუტა „მეათედი“ (ზედმიწ.
„ათის ნაწილი“, შდრ. ხუნძ. ანწი-ლ ბუტა "id")....; ჰუნზ. ყანუ-ს ბუტა „მეორედი“, ბელ'ნო-ს
ბუტა „მერვედი“, ჯონო-ს ბუტა „მეოცედი“ და ა. შ.; ბ) კრებითი რიცხვისი სახელი + ძალ'ოქოს
(< ძალ'ო „შუა“, „შორის“ + ქო + ნათ. -ს) (ტლ. რალ'ოქოს) „ნახევარი“: ლ'ინა-ნა ძალ'ოქოს
„ხუთ-ნახევარი“, აწონა-ნა ძალ'ოქოს „ათ-ნახევარი“ და სხვ. მისთ.

4) ჯერობითი რიცხვითი სახელები. ჯერობის გამოსახატავად ორსავე დიალექტში სუ-
ფიქსად -ხ დასტურდება, ხოლო საწარმოებელ ოდენობად – ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა
ფუძე, რომელიც გავრცობილია -რა />-მა, -ჟა, -რჟა, -ემა (<*-ე-რა) დეტერმინანტული ელემენ-
ტებით. მასთან, „ერთის“, „ორისა“ და „სამის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები თავისებუ-
რებას ამჟღავნებენ [იხ. ლომთაძე 1966 : 224]. საილისტრაციო მაგალითები: საკ. ბეჟ. კა-ხ-ნა
„ორჯერ“, ლ'ა-ხ-ნა „სამჯერ“, ჯო-ჟა-ხ-ნა „ოცჯერ“, ლ'ი-მა-ხ-ნა „ხუთჯერ“...; ჰუნზ. ოყენ-რა-ხ

„ოთხჯერ“, უჭი-რა-ხ „ცხრაჯერ“, ჭიტ-რა-ხ „ასჯერ“ და ა. შ.

ბეჟიტურ ენაში დასტურდება ჯერობითი რიცხვითი სახელებისაგან -და (საკ. ბეჟ.), -დო (ჰუნზ.) სუფიქსით ნაწარმოები განუსაზღვრელი სემანტიკის გამომხატველი რიცხვითი სახელები, მაგ.: **ოყერახ-და-ნა** (ჰუნზ. **ოყერახ-დო-ნ**) „დაახლოებით ოთხჯერ“, **ლ'ირახ-და-ნა** (ჰუნზ. **ლ'ირახ-დო-ნ**) „დაახლოებით ხუთჯერ“ და მისთ.

შეიძლება ბეჟიტურში ჯერობა გამოიხატოს აგრეთვე შემდეგი ფორმულითაც: **სათანადო რაოდენობითი რიცხვითი სახელი + ჰინო** (საკ. ბეჟ.), **ჰენი** (ჰუნზ.) „გზა“.

5) **კრებითი რიცხვითი სახელები** იწარმოება რაოდენობითი რიცხვითისაგან -ნა (საკ. ბეჟ.), -ნო (ჰუნზ.) ნაწილაკის დართვით.

გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სინონიმური სახელები: **ზათ, ოლლო, თელი** „ბევ-რი“, **დჰჰჰ, ოტტტ** „ცოტა“ და მისთ.

6) **დაყოფითი (resp. დანაწევრებითი) რიცხვითი სახელები**. ამ რიგის რიცხვითი სახელები, როგორც წესი, სათანადო ფუძის რედუპლიკაციით იწარმოება: ყ'რ-ყ'ონა (საკ. ბეჟ.), ყ-ყანუ (ჰუნზ.) „ორ-ორი“, ჰონ-ჰონჭიტ (საკ. ბეჟ.), ჰონ-ჰონსჭიტ (ჰუნზ.) „ას-ასი“ და ა. შ..

6.3.2. **რიცხვითი სახელების ბრუნება**. რიცხვითი სახელი, როგორც წესი, გამოყენებულია ატრიბუტივად და არსებით სახელს ახლავს. ერგატივსა და „ირიბ“ ბრუნვებში -ნა (საკ. ბეჟ.), -ნ/-ნო (ჰუნზ.) სუფიქსების ნაცვლად -ლ/-ლა, -დ/-დო ფორმანტები დაჩნდება. განსუბსტანტივებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი არსებით სახელთა ანალოგიურად იბრუნვის. ბრუნებისას რიცხვით სახელს უნარჩუნდება -ნა (საკ. ბეჟ.), -ნ (ჰუნზ.) ნაწილაკი, რომელიც ბრუნვის ნიშნის შემდეგ მოუდის.

6.4. **ნაცვალსახელი**. შინაარსის მიხედვით, გამოიყოფა ნაცვალსახელთა ცხრა ჯგუფი: 1) პირისა, 2) ჩვენებითი, 3) კითხვითი, 4) კუთვნილებითი, 5) უკუქცევითი, 6) განსაზღვრებითი, 7) განუსაზღვრელობითი, 8) ურთიერთობითი, 9) უარყოფითი. ყოველი ჯგუფის ნაცვალსახელს, გარდა კუთვნილებითისა, აქვს საკუთარი გრამატიკული ფორმა და სათანადო ფუნქციური დატვირთვა.

6.4.1. **პირის ნაცვალსახელები**. ბეჟიტური პირის ნაცვალსახელებს „ექსკლუზივ-ინკლუზივის“ (in/ex-ის) კატეგორია არ მოეპოვება. გარდა ამისა, ეს ნაცვალსახელები თავისებურებას სახელობითისა და ერგატივის ფორმათა მორფოლოგიური განურჩევლობითაც ამჟღავნებენ, რაც არქაულ მოვლენად მიიჩნევა და პრედიკატის ძირითად აქტანტთა კოდირების კარდინალურ სტრატეგიას უკავშირდება.

პირის ნაცვალსახელებად გამოიყოფა: საკ. ბეჟ. **დო** „მე“, **მი** „შენ“, **ილე** „ჩვენ“, **მიჟე** „თქვენ“; ჰუნზ. **დჰ** „მე“, **მჰ** „შენ“, **ილე** „ჩვენ“, **მიჟე** „თქვენ“.

რაც შეეხება III პირს, დამოუკიდებელი ნაცვალსახელები არ მოგვეპოვება და ნაკლული პარადიგმა ჩვენებით ნაცვალსახელებით აქვს შევსებული. სქემატურად:

ა) საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

ლექსიკური მნიშვნ. / ბრუნვები	„მე“	„შენ“	„ჩვენ“	„თქვენ“
სახ.	დო	მი	ილე	მიჟე
ერგ.	დო	მი	ილე	მიჟე
მიც.	დი-ლ	დუ-ლ	ილო-ლ	მიზო-ლ
ნათ.	დი-ა-ე	დი-ბო	ილო-ს	მიზო-ს
ინსტრ.	დრ-დ	დუ-დ	ილო-დ	მიზო-დ
ადგილ.	დრ-ტაა	დუ-ტაა	ილო-ტაა	მიზო-ტაა
მიმართ.	დრ-ტაა-ლ	დუ-ტაა-ლ	ილო-ტაა-ლ	მიზო-ტაა-ლ
დაშორ.	დრ-ტაა-ს	დუ-ტაა-ს	ილო-ტაა-ს	მიზო-ტაა-ს
შუალ.	დრ-ტაა-ლა-ტაა (ტლ.)	დუ-ტაა-ლა-ტაა (ტლ.)	ილო-ტაა-ლა-ტაა (ტლ.)	მიჟო-ტაა-ლა-ტაა (ტლ.)

ჰუნზიბური დიალექტი

ლექსიკ. მნიშვნ. / ბრუნვები	„მე“	„შენ“	„ჩვენ“	„თქვენ“
სახ.	დწ	მწ	ილე	მიჟე
ერგ.	დწ	მწ	ილე	მიჟე
მიც.	დი-ჰი/დი-ი/დრ	დგ-ბრ	ილუ	მიჟუ
ნათ.	დი-ა-ე	დგ-ბწ	ილუ-ს	მიჟუ-ს
ინსტრ.	დი-დო	დგ-ბწ-დ/დუ-დო	ილ-დო	მიჟ-დო
ადგილ.	დი-ტაა	დუ-ტაა	ილუ-ტაა	მიჟუ-ტაა
მიმართ.	დი-ტაა-დწრ	დუ-ტაა-დწრ	ილუ-ტაა-დწრ	მიჟუ-ტაა-დწრ
დაშორ.	დი-ტაა-ს	დუ-ტაა-ს	ილუ-ტაა-ს	მიჟუ-ტაა-ს
შუალ.	დი-ტაა-დწრ-ტაა	დუ-ტაა-დწრ-ტაა	ილუ-ტაა-დწრ-ტაა	მიჟუ-ტაა-დწრ-ტაა

6.4.2. ჩვენებითი ნაცვალსახელები. ამ რიგის ნაცვალსახელში მოსაუბრესთან მიმართებით სივრცობრივი ლოკალიზაცია არის ასახული: 1) პირველ პირთან ახლომყოფი; 2) მეორე

პირთან ახლომყოფი; 3) პირველ-მეორე პირებისაგან დაშორებული. გარდა ამისა, ჩვენებითი ნაცვალსახელები თვით ჯგუფის შიგნითაც უჩვენებენ კლას-კატეგორიის მიხედვით განსხვავებას: საკ. ბეჟ.: 1) **ტაჰ(ა)დი** || **ჰუდი** (I, IV კლ.); **ტაჰ(ა)დო** || **ჰოდო** (II, III კლ.) „ეს“ (I პირთან მყოფი); 2) **ტაჰლი** || **ჰული**, **ტაჰ(ა)ნი** || **ჰუნი** (ხაშ.) (I, IV კლ.); **ტაჰლო** || **ჰოლო**, **ტაჰ(ა)ნო** || **ჰონო** (ხაშ.) „ეგ“ (II პირთან მყოფი); 3) **ტაჰ(ა)გი** || **ჰუგი** (I, IV კლ.), **ტაჰ(ა)გო** || **ჰოგო** (II, III კლ.) „ის“ (სხვაგან მყოფი).

ჰუნზ.: 1) **ბჰდ** (I, III, IV კლ.), **ბოდუ** (II კლ.) „ეს“; 2) **ბჰლ** (I, III, IV კლ.), **ბოლუ** (II კლ.) „ეგ“; 3) **ზგ** (I, III, IV კლ.), **ოგუ** (II კლ.) „ის“.

მრავლობით რიცხვში რედუცირებული ხმოვანი მორფონოლოგიურ საფუძველზე კვლავ აღდგება: 1) **ტა-ჰად-დრლ** || < **ტა-ჰად-რრლ**, **ჰოდ-დრლ** || < **ჰოდ-რრლ** „ესენი“; 2) **ტა-ჰალ-ლრლ** || < **ტა-ჰაგ-რრლ**, **ჰოლ-ლრლ** || **ჰოგ-რრლ**, **ჰოგ-რლ**, **ჰოლ-რლ** (კილოკ. ვარ.) „ეგენი“; 3) **ტა-ჰაგ-გრლ** || < **ტა-ჰაგ-რრლ**, **ტა-ჰაგ-რლ**, **ჰოგ-გრლ** || < **ჰოგ-რრლ** „ისინი“.

გარდა ზემოგანხილული ნაცვალსახელებისა, დასტურდება მეორეული ჩვენებითი ნაცვალსახელები, მაგ. ტაჰადდიო „ასეთი“, ტაჰაგგიო „ისეთი“, ტაჰალდიო „ეგეთი“, ზგას (ჰუნზ.) „ამნაირი“ და მისთ.

6.4.3. კითხვითი ნაცვალსახელები. ბეჟიტურ ენაში „ვინ?“ და „რა?“ ნაცვალსახელები ფორმობრივად გარჩეულია: **სუკო** > || **სუყო** (საკ. ბეჟ.), **სუკუ** (ჰუნზ.) „ვინ?“, **სიო** (კაპ.), **შიო** (ხაშ.), **შიყო** (ტლად.), **შიო** || **შიყო** (ჰუნზ.) „რა?“

კითხვით ნაცვალსახელები მრავლობითი რიცხვის ფორმებს მოკლებულნი არიან, მაგრამ მათ მოეპოვება ბრუნება, რომელიც ხასიათდება რიგი თავისებურებებით. სქემატურად:

ნაცვალ-სახელები	საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი	
	„ვინ?“	„რა?“	„ვინ?“	„რა?“
ბრუნვები				
სახ.	სუკო	სიო, შიყო	სუკუ	შიო
ერგ.	ლ'რ	ლ'ინი	სრ-ლრ	სინ-ლო
მიც.	ლ'რ-ლ	ლ'ინი-ლ	სრ-ღ	სინწ
ნათ.	ლ'რ-ღ(ს)	ლ'ინი-ს	სრ-ღ-ს	სინი-ს

ინსტრ.	ლ'რ-დ	ლ'ინი-დ	სრ-დრ	სინ-დო სინი-დ
ადგ.	ლ'რ-ტა	ლ'ინი-ტა	სრ-ტო	სინ-ტო-ლ სინი-ტო
მიმართ.	ლ'რ-ტა-ლ	ლ'ინი-ტა-ლ	სრ-ტო-ლ	სინ-ტო-ლ
დაშორ.	ლ'რ-ტა-ს	ლ'ინი-ტა-ს	სრ-ტო-ს	სინ-ტო-ს
ტრანსლატ.	ლ'რ-ტა-ლ-ტან	ლ'ინი-ტა-ლ-ტან	სრ-ტო-ლ-ტან	სინ-ტო-ტო

დამატებით დასტურდება შემდეგი კითხვითი ნაცვალსახელები: საკ. ბეჟ. ნრძო (მრ. რ. ნრძა) „როგორი? ნრძოსო „რომელი?“ ლა, ლად, ლასო „რამდენი?“ სუდ „რატომ?“...; ჰუნზ. ჰინანს / ჰინან „როგორი?“ სესგრუ „რომელი?“ ჰიდილ „რამდენი?“ სურრ / სურბა „რატომ?“ ნიო „სად?“ და მისთ.

6.4.4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები. კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციას, როგორც წესი, ასრულებს პირის ნაცვალსახელის ნათესაობითის ბრუნვის ფორმა მაგ.: საკ. ბეჟ. დიდე ბილ'ო „ჩემი სახლი“, დიბო ქიდ „შენი გოგონა“, ილოს ალ' „ჩვენი სოფელი“, მიზოს ბისა „თქვენი თევზი“...; ჰუნზ. დიდე „ჩემი“, დეგზ „შენი“, ილუს „ჩვენი“, მიჟუს „თქვენი“.

6.4.5. უკუქცევითი ნაცვალსახელი. ბეჟიტურ ენაში უკუქცევით ნაცვალსახელს თავისი საკუთარი ფორმა აქვს: ჟუ (საკ. ბეჟ.), ჟუ (ჰუნზ.) „თვითონ“, მრ. რ.: ჟუ-ჟრლ (საკ. ბეჟ.), ჟუ-რუჟ // ჟუ-რუ (ჰუნზ.).

უკუქცევითობა პირის ნაცვალსახელებითაც გამოიხატება, მაგ.: საკ. ბეჟ. დო-ზუ „მე თავად“, მი-ზუ „შენ თავად“, ილე-ზუ „ჩვენ თავად“, მიჟე-ზუ „თქვენ თავად“; ჰუნზ. დ-ჟუ „მე თავად“, მ-ჟუ „შენ თავად“, ზ-ჟუ „ის თავად“...

6.4.6. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი. საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში განსაზღვრებით ნაცვალსახელებად უნდა გამოიყოს: სრ-სიდი „თითოეული“, გჰჰიო (საკ. ბეჟ.), გალო (ტლ.) „ყველა ერთად“, ყაწწო „ყველა“, სუკო-ნა-ზუ „ყოველგვარი“, „ყველა“. ჰუნზიბურ დიალექტში გვხვდება: სუკუ-ნო-ჟ (ჰუნზ.), შიო-ნო-ჟ (ღარბ.) „ყველაფერი“, სეტ, ლიდერ „ყველა“, სიო-ნა-ზუ (ღარბ. შიო-ნა-ჟუ) „ყველაფერი“. ორსავე დიალექტში იჩენს თავს ხუნძურისაგან შეთვისებული განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: შიბაბ (საკ. ბეჟ.), შიბაბ, შინაბ (ჰუნზ.) „ყოველი“, ჟიბ-ჟიბ (კაპ.) „ყოველი“. სქემატურად:

	„თითოეული“	„ყველა“	„ყველა“
სახ.	სრ-სიდი	გჰჰიო	ყაწწო
ერგ.	სრ-სიდი-ლა	გჰჰი-ა	ყაწწო-ლა
მიც.	სრ-სიდილა-ლ	გჰჰი-ალ	ყაწწოლა-ლ

ნათ.	სრ-სიდილა-ს	გაჭიდა-ს	ყაწწოლა-ს
ინსტრ.	სრ-სიდილა-დ	გაჭიდა-დ	ყაწწოლა-დ

6.4.7. **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი.** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები იწარმოება სათანადო კითხვითი ნაცვალსახელის ამა თუ იმ ფორმისაგან განუსაზღვრელობითი -დი ნაწილაკის დართვით, მაგ.: საკ. ბეჟ. **სუკო-დი** „ვიღაც“, **სიო-დი** (ტლ. შიჟოდი) „რალაც“, **სუკოდი-სუ-დი** „ვინმე“, **სიოდი-სუ-დი** „რამე“, **ლ'ოფს-დი** „ვიღაცის“, **ლ'ინისდი-სუ-დი** „რალაცისგან“, **ნიოდი-სუ-დი** „რომელიღაც“...; ჰუნზ. **სუკუ-დი** „ვიღაც“, **შიო-დი** „რალაც“, **სუკუდი-სუ-დი** „ვინმე“, **შიოდი-სუ-დი** „რამე“, **ნიო-დი** „სადღაც“ და ა. შ.

6.4.8. **ურთიერთობითი ნაცვალსახელი.** გვხვდება მხოლოდ ერთი კომპოზიციური წარმოების ნაცვალსახელი, რომლის პირველი კომპონენტი ერგატივში დგას, ხოლო მეორე კომპონენტი კი – სახელობითში: **სიდი-ჰოსო** (ტლ. **სიდი-ჰოს**) (საკ. ბეჟ.), **ჟიდჷ-ს ჟიდჷ** (ჰუნზ.) „ერთმანეთი“ (შდრ. ძვ. ქართ. „ერთმან-ერთი“).

6.4.9. **უარყოფითი ნაცვალსახელი.** უარყოფითობა გამოიხატება კითხვითი ნაცვალსახელებზე ბიფუნქციური {-ნა / -ნა} (საკ. ბეჟ.), {-ნ(ო)} (ჰუნზ.) დართვით, მაგ.: **სუკო-ნა**, **ჰო-სუყო-ნა** (საკ. ბეჟ.), **სუკუ-ნ** (ჰუნზ.) „არავინ“, **სიო-ნა** (საკ.ბეჟ.), **შიო-ნ** (ჰუნზ.) „არაფერი“.

თავი V. ზმნა

7.1. **ზოგადი.** ზმნა, როგორც წინადადების ხერხემალი, არის მეტად რთული შინაასის შემცველი მორფოლოგიური მონაცემი. ბეჟიტურ ენაში ზმნას მოეპოვება როგორც უღლების (გრამატიკული კლასის, რიცხვის, დროის, კილოს, აქტის), ისე წარმოქმნის (კაუზატივის, ასპექტის, პოტენციალისის) კატეგორიები. გრამატიკული კლასის გარდა, რომელიც გამსჭვალავს ზმნის მთელ სისტემას და წარმოადგენს მის სპეციფიკურ ნიშანს, შეინიშნება პირისა და გვარის ჩანასახი.

7.2. **გრამატიკული კლასისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში.** ნებისმიერი ზმნა, თუ ის

კლასის ექსპონენტს მოკლებული არ არის, ორსავე რიცხვში კლასთა მიხედვით სათანადოდ იცვლება. ბეჟიტური ზმნა კლასის ექსპონენტებს ინფიქსადაც გვიჩვენებს, რაც ამ ენის თავისებურებას წარმოადგენს. მრავლობითობის ორმაგად აღნიშვნა გვიანდელი პროცესი ჩანს და, როგორც ვარაუდობენ, უკლასნიშნო ზმნათა მრავლობითობის სპეციალური აფიქსებით გამოხატვის ანალოგიით განვითარებული [ბურჭულაძე 1989 : 197].

7.3. უღვლილების ტიპები: კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი. ბეჟიტური ზმნა ჩვეულებრივი გაგებით მონოპერსონალური და კლასოვანი უღვლილების მქონეა, რადგან მასში გრამატიკულად აღინიშნება ოდენ ერთი სახელის (სუბიექტის ან ობიექტის) კლასი, ე. ი. სახელი ზმნაში სათანადო კლასიფიკატორს აჩენს. მასთან, როგორც ცნობილია, კლასიფიკატორიან გარდაუვალ ზმნაში რეალური სუბიექტის კლასი აისახება, ხოლო გარდამავალ ზმნაში–რეალური (უახლოესი) ობიექტისა.

გარდა კლასოვანი უღვლილებისა, ჰუნზიბურ დიალექტში აწმყოს წრის ნაკვეთთან შემჩნეულია კლასოვან-პიროვანი უღვლილება [ბოკარევი 1959 : 49; ვან დენ ბერგი 1995 : 83].

7.4. გარდამავლობის საკითხისათვის. ზმნა ბეჟიტურ ენაში, ხუნძურ ზმნასთან შედარებით, სტაბილურია. ზმნის მეტ-ნაკლები სტაბილურობა და გვართა გარჩევის შესაძლებლობა თავისთავად სვამს გარდამავლობის საკითხს.

ბეჟიტურ ენაში, მრავალი ენის ანალოგიურად, გვხვდება იმთავითვე გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები. ზმნის ძირის სემანტიკიდან გამომდინარე, გარდამავალი ზმნები შეიძლება წარმოქმნილ იყვნენ პასივებისაგან. პირველად აქტივთა სტრუქტურა ხანდახან ამგვარი მოსაზრების საფუძვლიანობას ცხადყოფს [არდოტელი 2008 : 75].

ცნობილია, რომ ზმნური ფუძის გააქტიურება იბერიულ-კავკასიურ ენებში ძირითადად კაუზაციის გზით ხდება [ჩიქობავა 1950 : 061]. ბეჟიტურ ენაშიც აბსოლუტური ზმნებისაგან რელატიური ზმნები კაუზაციის -ლ / > -ნ (ბეჟ.), -ლ/-ლე (ჰუნზ.) ფორმანტთა დართვით იწარმოება, მაგ.: საკ. ბეჟ. ა-უტ-ალ „დაწოლა“ – ა-უტა-ლ-ალ „დაწვენა“, ნის-ალ „თქმა“ – ნისო-ლ-ალ „თქმევინება“...; ჰუნზ. ბეჟ-ა „ჩამოვარდნა“ – ბეჟე-ლ-ა „ჩამოგდება“, ნოს-ა „ბნევა“ – ნოსო-ლ-ა „ყრა“ და მრ. სხვ.

გარდამავალ ზმნათა საწარმოებლად კაუზაციის ფორმანტის ფუნქციით გამოიყენება აგრეთვე -კი / -კ (საკ. ბეჟ.), -(ე)კ / -კჳ / -კ (ჰუნზ.) მაზმნავებელი სუფიქსი, რომელიც ჰუნზიბურში ფუნქციურად რეინტერპრეტირებულია და უფრო კაუზაციის როლი აკისრია, მაგ.: საკ. ბეჟ. ააჰჰო „ცივი“ – ააჰჰ-კ-ალ „გაცივება“...

7.5. გარდამავლობისა და გვარის ურთიერთობისათვის. მართალია, ბეჟიტური ზმნა გარკვეულწილად სტაბილურია, მაგრამ გრამატიკული გვარი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. ცნობილია, რომ გვარსა და გარდამავლობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

ბეჭიტური ენის ერთი რიგის ძირეულ და ყველა ნასახელარ ზმნაში გარდამავლობა, როგორც ზემოთ ვნახეთ, -კი / -კ (ბეჭ.), -კ, -კჲ (ჰუნზ.) ფორმანტებით იწარმოება. სწორედ ამგვარად ნაწარმოები ფორმები ბინარულ ოპოზიციას ქმნიან -ლ/-ლ'ი (ბეჭ.), -ლ/-ლა/-ლი (ჰუნზ.) სუფიქსით ნაწარმოებ საპირისპირო სემანტიკის ფორმებთან. ასეთი ფორმების კორელაცია ყველაზე მკაფიოდ ნასახელარ ზმნათა წარმოებაში დაჩნდება. საილუსტრაციო მაგალითები: ზუყო „დიდი“ > ზუყი-კ-ცა (მოქ.) „ადიდებს“ – ზუყი-ლ'-ცა (ვნ.) „დიდდება“, ქოშე „თიბავს“ > ქოშე-კ (მოქ.) „ათიბვინებს“– ქოშე-ლ (ვნ.) „ითიბება“...

7.6. **ასპექტის კატეგორია.** ასპექტის კატეგორია მოქმედების მიმდინარეობის პროცესის რამდენიმე ქვესახეობას იცნობს, რომლებშიც ფუნქციურ-სემანტიკური კორელაცია (მომენტობრივი – დიურატიული, უსრული – სრული, ერთგზისი – მრავალგზისი...) სხვადასხვაგვარია. ამ ქვესისტემებიდან ბეჭიტური ენისთვის ნიშანდობლივია ორი ქვესისტემა: **უსრული – სრული, ერთგზისი-მრავალგზისი**, მაგ.:

საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი

ერთგზისი (მომენტობრივი)		მრავალგზისი (დიურატიული)	
		აწმყო	
ა-ალოჰ-ცა	„თიბავს“	ა-ალოჰ-და-ს	„თიბავს ხოლმე“
ჩახ-ჩა	„წერს“	ჩახ-და-ს/-ჩ	„წერს ხოლმე“

ჰუნზიბური დიალექტი

		აწმყო	
ლ'ახ	„ივარცხნის“	ლ'ახ-და	„ივარცხნის ხოლმე“
ჩახ-ჩო	„წერს“	ჩახ-და-ჩ	„ვწერ, წერ ხოლმე“
ღ-ოჰ-და	„ვმუშაობ“	ღ-ოჰ-და-ჩ	„ვმუშაობ“

7.7. **კაუზატივი..** კაუზატივის წარმოება, სინქრონიული თვალსაზრისით, ორგვარია: 1. **ორგანული** და 2. **აღწერითი**.

7.7.1. **კაუზატივის სინთეზური წარმოება.** სინთეზურ ფორმათა წარმოებისას გამოიყოფა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა ფუძის სემანტიკური ორხაზოვნობით შეპირობებული კაუზატივის დერივაციის ორი ძირითადი ფორმულა:

1. **გარდაუვალი ზმნის ფუძე + ფორმანტი -ლ- = პირველადი კაუზატივი + ფორმანტი -ლ- = მეორეული კაუზატივი;**
2. **გარდამავალი ზმნის ფუძე + ფორმანტი -ლ- = პირველადი კაუზატივი + ფორმანტი -ლ- = მეორეული კაუზატივი.**

პირველადი და მეორეული კაუზატივის ფორმები დამახასიათებელია საკვლევი ენის

ორივე დიალექტისათვის. ანალოგიურად იწარმოება კაუზატივის სინთეზური ფორმები ჰუნ-ზიბურ დიალექტში იმ განსხვავებით, რომ სუფიქსად შეიძლება -კV- იყოს, მაგ.: Ø-უტურ „დაიძინა“ – Ø-უტ-კე-რ „დააძინა“ – Ø-უტ-კე-კე-რ „დააძინებინა“, ჩაწხე-რ „დაწერა“ – ჩაწხ-კე-რ „დააწერინა“ – ჩაწხ-კე-კე-რ „დააწერინებინა“...

ზემომოყვანილი ფორმები მოწმობენ, რომ ბეჟიტურ ენაში ამოსავალი პირველადი ზმნე-ბიდან კაუზატივის ფორმანტის დართვით იწარმოება პირველადი კაუზატივი (ჰუნზ. Ø-უტურ „დაიძინა“ – Ø-უტ-კე-რ „დააძინა“), ხოლო ამ ფორმანტთა რედუბლიკაციით, რაც ინი-ციატორ-ეგზეკუტორთა მატებას იწვევს – მეორეული კაუზატივი (Ø-უტ-კე-კე-რ „დააძინებინა“)[ისაყოვი 1986 : 12-13].

7.7.2. **კაუზატივის ანალიზური წარმოება.** ბეჟიტურ ენაში კაუზატივის აღწერითი ფორ-მები ბაზისურ ზმნათა დიურატიული ასპექტის ფუძეზე **გულ-ალ** („დადება“, „დადგმა“) და-მხმარე ზმნის ენკლიტიკურად დართვით იწარმოება, მაგ.: **ბუჭდა-გოლ-ალ** „გაჭრევენება“, **ჯოჭდა-გოლ-ალ** „სწავლებინება“ და მისთ.

7.8. **დრო-კილოთა სისტემა.** ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში სინთეზური ფორმები-დან გარჩეულია **აწმყო მყოფადი** და **ნამყო ძირითადი**. **აწმყო ზოგადის** ფორმებს, ჰუნზიბური დიალექტისაგან განსხვავებით, საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი მოკლებულია.

რაც შეეხება ანალიზურ წარმოებას, დროის აღწერითი ფორმებიდან დასტურდება: ა) **აწ-მყო კონკრეტული**, ბ) **ნამყო შედეგობითი**, გ) **ნამყო უწყვეტელი**, დ) **წინარე ნამყო**, ე) **ნამყო ძი-რითადის თურმეობითი**, ვ) **ნამყო უწყვეტლის თურმეობითი**.

7.8.1. **საუღლებელი ზმნის ფუძე.** ბეჟიტური ზმნის ძირითად ელემენტებს შეადგენენ: **კლასიფიკატორი (დამაკავშირებელი ხმოვნითურთ) + ფუძე (resp. ძირი) + თემატური ნიშანი + ფლექსიური (resp. დერივაციული) მორფემა.** ზმნური სტრუქტურის ეს ძირითადი მოდელი არ არის ობლიგატური – იგი შეიძლება ამა თუ იმ კომპონენტს მოკლებული იყოს. **ზმნის ფუ-ძე შეიძლება განიმარტოს, როგორც ის მდგრადი სეგმენტი (დერმი), რომელსაც ჩამოშორებუ-ლი აქვს კლასის (და რიცხვის), დროის, კილოსა და თემის ნიშნები.**

ფუძე არცთუ იშვიათად ძირს უდრის, ან შეიცავს ამ უკანასკნელს. უკლასნიშნო ზმნის ფუძე შეიძლება იწყებოდეს და სრულდებოდეს ხმოვნით ან თანხმოვნით. ხმოვნით დაწყებუ-ლი ყველა ზმნური ფუძე მაგარშემართვიანია. ძალიან ბევრია ოდენკონსონანტიანი (C-) და ლაბიალურელემენტიანი (CW-) ძირ-ფუძეები.

აწმყო კონკრეტულისა და ნამყო ძირითადის მონაცემების გათვალისწინებით, ბეჟიტურ ზმნაში გამოიყოფა უღვლილების ორი ძირითადი ტიპი: ა) **ხმოვანფუძიანი** და ბ) **თანხმოვან-ფუძიანი**.

7.8.2. **ინფინიტივი.** ზმნის ყველაზე ზოგადი შინაარსის შემცველი უნიფიცირებული

ფორმა ინფინიტივია, ამიტომ სალექსიკონო ერთეულადაც ჩვეულებრივ მას ასახელებენ. იგი იწარმოება -აღ/-აღ/-აღ (საკ. ბეჟ.), -ა/-ა (ჰუნზ.) სუფიქსებით, რომლებიც ფუძის ყველა აუს-ლაუტურ ხმოვანს კვეცენ და ხმოვანფუძიან ზმნებს თანხმოვანფუძიანებად აქცევენ, მაგ.: საკ. ბეჟ. დ-ოჟ-აღ „კეთება“, დ-ეზ-აღ „წადება“, „წაყვანა“, დ-ატ-აღ „სიყვარული“...; ჰუნზ. დ-აჯ-ა „გახდომა“, დ-ოხ-ა „ადება“, „ყიდვა“, ბ-აღ'-ა „ხვნა“...

7.8.3. **სუპინუმი.** ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში დასტურდება ინფინიტივის ფორმაზე -დიდა სუფიქსით ნაწარმოები სუპინუმის (ე. წ. აუცილებლობითი) ფორმები, რომლებიც ფუნქციურად და სემანტიკურად ინფინიტივთან ახლო დგანან, მაგ.: რუტადიდა „გასაკეთებლად“, ხულ'ადიდა „დასალევად“...

7.8.4. **დროთა სინთეზური ფორმების წარმოება.** ორგანულად იწარმოება:

7.8.4.1. **აწმყო ძირითადი.** იგი იწარმოება ზმნის სათანადო ფუძისაგან შემდეგი ფორმანტების დართვით: -ცა/-ც, -ჩა/-ჩ, -შ, -ს (საკ. ბეჟ.), -ჩო/-ჩ (I, II პ.), -Ø (III პ.) (ჰუნზ.). დასახელებულ ფორმანტთა დისტრიბუცია ამგვარია: ა) -V# – -ცა, -ჩა, -ჩო; ბ) -C# – -ც, -ჩ, -შ, -ს.

უარყოფითი ფორმები იწარმოება ზმნის სათანადო ფუძეზე -აჟა/აჟა, -ა (< -ა-ა < -აჟა) (კაპ., ხაშ.), -აჟა/-აჟ (ხაშ., ტლად.), -ატ (ჰუნზ.) სუფიქსების დართვით. სქემატურად:

ა. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

ზმნის ფუძე	დადებითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა	უარყოფითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა
დუტ-	დუტ-ცა	„წვება“	დუტ-აჟა-ს	„არ წვება“
ტუტ-	ტუტ-ცა	„ისვრის“	ტუტ-აჟა (ტლად.)	„არ ესვრის“
დიყე-	დიყე-შ	„იცის“	დიყ-აჟ (ხაშ.)	„არ იცის“

ბ. ჰუნზიბური დიალექტი

ზმნის ფუძე	დადებითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა	უარყოფითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა
დიყე-	დიყე (III პ.)	„იცის“	დიყ-ატ	„არ იცის“
ჩახ-	ჩახ-ჩო (I, II პ.)	„ვწერ“	ჩახ-ატ	„არ ვწერ“
ხულ'-	ხულ' (III პ.)	„სვამს“	ხულ'-ატ	„არ სვამს“

6.8.4.2. **აწმყო ზოგადი.** ჰუნზიბურ დიალექტში აწმყო ზოგადი იწარმოება ზმნის სადა ან

მოდინფიცირებული ფუძისაგან -Ø, -რ̄/-რ̄ /-წ სუფიქსების დართვით.

7.8.4.3. **მყოფადი დრო.** ჰუნზიბურ დიალექტში მყოფადი დრო იწარმოება აწმყო ზოგადის ფორმისაგან -რ სუფიქსის დართვით, ხოლო უარყოფითი ფორმები – -მს სუფიქსით. რაც შეეხება საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტს, მყოფადი დროის საკუთარი გრამატიკული ფორმა მას არ მოეპოვება და ამ დროის გადმოსაცემად იყენებს აწმყო კონკრეტულს ან ინფინიტივის ფორმას. სქემატურად:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი		
ზმნის ფუძე	მყოფადი დრო	ზმნის ფუძე	მყოფადი დრო	ლექსიკური მნიშვნელობა
მატ-	მატ-ალ/-ა	მატ-რ̄-	მატრ̄ -რ	„შეიყვარებს“
ტუტ-	ტუტ-ალ/-ა	ტუტ-რ̄-	ტუტრ̄-რ	„ესვრის“
ჩახ-	ჩახ-ალ/-ა	ჩახ-რ̄-	ჩახრ̄-რ	„დაწერს“

7.8.4.4. **ნამყო ძირითადი.** ნამყო ძირითადი იწარმოება უშუალოდ ზმნური ფუძისაგან -რო/-ლო (ხაშ., ტლად.), -მო/-მრ, -ლო (< -რო), -V̄ (კაპ.), -რ (ჰუნზ.) სუფიქსებით. საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში აორისტის უარყოფითი ფორმები იწარმოება -ე თემატურხმოვნთან ზმნურ ფუძეზე -ყე (კაპ., ხაშ.), -ყ (ტლ.), -რს (<-იყის) (ჰუნზ.) სუფიქსების დართვით, მაგალითად: საკ. ბეჟ. ძულო-რო „მოკვდა“– ძულე-ყეს „არ მოკვდა“, ტუტი-რო „ესროლა“ – ტუტე-ყეს || -ყემ „არ ესროლა“...; ჰუნზ. ბუჰუ-რ „მოკვდა“ – ბუჰ-რს „არ მოკვდა“, ბეტკე-რ „ჩააქრო“ – ბეტკ-რს „არ ჩააქრო“ ...

7.8.4.6. **აწმყო კონკრეტულის ფორმები.** აწმყო კონკრეტული ორსავე დიალექტში ერთნაირი ყალიბისაა: აწმყო დროის მიმღობა + მეშველი ზმნა (კაპ. გემ, ხაშ. გალ'ი, ტლად. გელი, ჰუნზ. ლო, ლი „არის“).

შესაბამისი დროის უარყოფით ფორმათა წარმოებისას პირველი კომპონენტი (მიმღობა) იგივე რჩება, ხოლო მეორე კომპონენტი (მეშველზმნა) უარყოფითი ფორმით იცვლება, მაგ.: საკ. ბეჟ. ექცას გემ „ვარდება“ – უარყ. ექცას გჰჰ, **მოწყოცას გემ** „მოდის (ზდმიწ. „მომავალი არის“)" – **მოწყოცას გჰჰე...**; ჰუნზ. აწყეროს ლო „მოდის“ – უარყ. აწყეროს გრჰ, **ჩახჩო ლო** „წერს“ – უარყ. **ჩახჩო გრჰ...**

7.8.4.7. **ნამყო შედეგობითი.** ნამყო შედეგობითი იწარმოება ძირითადი ზმნის ნამყოს აბსოლუტივის ფორმაზე დამხმარე ზმნის აწყოს ფორმის (საკ. ბეჟ. გემ, გჰლ'ი, გელი, ჰუნზ. ლო, ლი „არის“) დართვით.

7.8.4.8. **ნამყო უწყვეტელი.** ნამყო უწყვეტელი იწარმოება ძირითადი ზმნის აწმყოსა და მეშველზმნის ნამყო ძირითადის ფორმათა შეხამებით, მაგალითად: ტოტო-ს ზუყო-მო (საკ. ბეჟ.), ტატ-ჩ ზუყუ-რ (ჰუნზ.) „ვჭრიდი“, დემ-ჩა ზუყო-რო (საკ. ბეჟ.), დემ-ჩო ზუყუ-რ (ჰუნზ.) „ვჭამდი“ და მისთ.

7.8.4.9. **წინარე ნამყო** იგი ნაწარმოებია ბაზისური ზმნის ნამყო აბსოლუტივზე მეშველ-ზმნის (**ზუყ-ალ** „ყოფნა“) ნამყო ძირითადის ფორმის დართვით, მაგ.: საკ. ბეჟ. კოტაკო-ნა ზუტყაყო-რო „ავად იყვნენ“, ტუტ-ნა ზუყო-მო „ესროლა“...; ჰუნზ. როხო-ნ ზუყუ-რ „ნაყიდი გაქვს“, მითე-ნ ზუყუ-რ „წასული ვარ“ და სხვ.

უარყოფითი ფორმების წარმოებისას მეშველი ზმნა უარყოფითი ფორმით (საკ. ბეჟ. ზუყე-ცე, ჰუნზ. ზუყ-ის „არ იყო“) იცვლება.

7.8.4.10. **ნამყო განგრძობითი.** ჰუნზიბურში ნამყო განგრძობითი იწარმოება ძირითადი ზმნის ნამყო დროის მიმდებარე მეშველზმნის (**ლო, ლი** „არის“) დართვით, მაგ.: როხო-რ-ული „ნაყიდა“, ილ'ერ-უ ლო „ნათქვამია“ და მისთ.

საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ფორმები ნაწარმოები ჩანს ძირითადი ზმნის აორის-ტისა და მეშველზმნის (**გემ, გალ'ი, გელი** „არის“) შერწყმის საფუძველზე, მაგ.: რიხალოლ'ი-რო-დ (< რიხალოლ'ი-რო გელი) „გაგრძელებულია“, ბუტი-რო-დ (< ბუტი-რო გელი) „დაძინებულია“ და სხვ.

7.8.4.11. **ნამყო ძირითადის თურმეობითი.** ნამყო ძირითადის თურმეობითი იწარმოება ძირითადი ზმნის აბსოლუტივისა და მეშველზმნის ნამყო შედეგობითის ფორმათა შეხამებით. საილუსტრაციო მაგალითები:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი	ლექსიკური მნიშვნელობა
ბუტ-ნა ზუყო-ნა გემ(კაპ.)	ბუტუ-ნ ზუყუ-ნ-ლო	„დაწოლილა თურმე“
ჩახ-ნა ზუყო-ნა-დ(ტლად.)	ჩახუნ-ნ ზუყუ-ნ-ლი	„დაუწერია თურმე“

ამგვარი თურმეობითის უარყოფითი ფორმების წარმოებისას მეშველზმნის მეორე კომპონენტი (საკ. ბეჟ. **გემ, -დ < გელი, ქლ'ი < გალ'ი**; ჰუნზ. **ლო, ლი** „არის“) უარყოფითი ფორმით გამოიყენება, მაგ.: ბუტნა ზუყონა გაპა (საკ. ბეჟ.) „არ დაუძინია თურმე“, ჩახუნ ზუყუნ გოჩ (ჰუნზ.) „არ დაუწერია თურმე“ “ ...

7.8.4.12. **ნამყო უწყვეტლის თურმეობითი.** ნამყო უწყვეტლის თურმეობითი ნაწარმოებია ძირითადი ზმნის აწმყოსა და მეშველზმნის ნამყო შედეგობითის ფორმათა კომბინირებით. სქემატურად:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი	ლექსიკური მნიშვნელობა
----------------------------	--------------------	-----------------------

ბეჩე-ჩ ზუყო-ნა გეჲ (კაპ.)	ბეჩე-ჩ ზუყუ-ნ-ლო	„დგებოდა თურმე”
ეეტჲე-შ ზუყო-ნა გალ’ი (ხაშ.)	ეეტჲე-ჩ ზუყუ-ნ-ლო	„მიდიოდი თურმე”

ნამყო უწყვეტლის თურმეობითის უარყოფითი ფორმები იწარმოება ბაზისური ზმნისა და ნამყო შედეგობითის უარყოფითი ფორმის კომპოზიციით.

7.8.4.13. **კილოს კატეგორია.** ბეჟიტურ ენაში გაირჩევა კილოს ხუთი სახეობა: ა) **თხრობითი**, ბ) **ბრძანებითი**, გ) **პირობითი**, დ) **კავშირებითი**, ე) **ნატვრითი**.

თხრობით კილოს საკუთარი აფიქსი არ აქვს. ზემოგანხილული დროული ფორმები თხრობითი კილოს კუთვნილებას შეადგენენ, ამიტომ ამ სახეობაზე აღარ შევჩედებით.

7.8.4.14. **ბრძანებითი კილო.** იმპერატივის დადებითი ფორმები იწარმოება სადა ან მოდიფიცირებული ზმნური ფუძისაგან -ა / -Ø (საკ. ბეჟ.), -ო / -Ø (ჰუნზ.) სუფიქსებით, ხოლო უკუთქმითი ბრძანებითი (პროკიბიტივი) კი – მეტწილად -ა სუფიქსით დასრულებული II პირის ბრძანებითის დადებითი ფორმისაგან -ყა-ყა / -ყა (საკ. ბეჟ.), -ყო / -ყატ (ჰუნზ.) სუფიქსებით. სქემატურად:

ა. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

ფუძე	დად. ფორ.		უარყ. ფორ.	
ეჩე-	ეჩე!	„გაჩერდი!”	ეჩე-ყა-ყა!	„არ გაჩერდე!”
ტუტ-	ტუტ-ა!	„ესროლე!”	ტუტა-ყა-ყა!	„არ ესროლო!”

ბ. ჰუნზიზური დიალექტი

ფუძე	დად. ფორ.		უარყ. ფორ.	
ჰეჰე-	ჰეჰ-ო!	„ცემე!”	ჰეჰრ-ყო!	„არ ცემო!”
ოხ-	ოხ-ო!	„იყიდე!”	ოხრ-ყო	„არ იყიდო!”

7.8.4.15. **პირობითი კილო.** კონდიციონალისი ორ ქვესახეობად იყოფა: ა) **რეალური პირობითი** და ბ) **ირეალური პირობითი**.

ა) **რეალური პირობითი** კილო იწარმოება ზმნის სათანადო ფუძისაგან -და (საკ. ბეჟ.), -დო (>/-ტო)/-დ (ჰუნზ.) ეკვივალენტური სუფიქსით, მაგ.: საკ. ბეჟ. ზოდ-და „თუ არის”, გილ-და „თუ დადებს“...; ჰუნზ. ჰეჰე-დო „თუ სცემა”, ჯოდა-დ „თუ ისწავლი” და მისთ.

უარყოფითი ფორმები ნაწარმოებია აწმყოს უარყოფითი ფორმისაგან (საკ. ბეჟ.) ან ნამყო ძირითადის უარყოფითი ფუძისაგან (ჰუნზ.) პირობითი კილოს სათანადო სუფიქსების და-

რთვით.

ბ) **ირეალური პირობითი კილო.** ამ მნიშვნელობით საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში დასტურდება აწმყო ძირითადის ფორმაზე -**ყოდნ** სუფიქსის დართვით ნაწარმოები ფორმები, მაგ.: **იეჟემ-ყოდნ** „რომ წავიყვანო“, **ხულ'ოს-ყოდნ** „რომ დავლიო“...

ჰუნზიბურ დიალექტში ზემოციტირებულ ფორმათა ფარდად დასტურდება ანალოგიური წარმოებისა და სემანტიკის შემდეგი ფორმები: **როხჩო-ყდნ** „რომ ვიყიდო“ – **როხინ-ყდნ** „რომ არ ვიყიდო“...

7.8.4.16. **ნატვრითი კილო.** ჩვენი აზრით, საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ნატვრითი კილოს (ოპტატივის) ფორმებად უნდა მივიჩნიოთ **ჩახა-ყოს** („მეწერება“, „წერა მინდა“) ტიპის ფორმები [ხალილოვი 1995 : 405], მაგ.: **ხულ'ა-ყოს** „სმა მინდა“, **იუტა-ყოს** „მემძინება“ და მისთ.

7.8.4.17. **აწმყოს აბსოლუტივი.** ნამყო აბსოლუტივი იწარმოება აწმყო ძირითადის სრული ფორმისაგან -**ლაც** (ა) (საკ. ბეჟ.), -**დიძრ** (ჰუნზ.), -**დრ** (დარ.) სუფიქსების დართვით, მაგ.: საკ. ბეჟ. ტოტაც-ლაცა „ესვრის რა“, ზუკვა-ლაც „ცემისას“...; ჰუნზ. იუტოჩ-დიძრ „აკეთებს რა“, ჰეჰეჩ-დიძრ „სცემს რა“ და სხვ.

7.8.4.18. **ნამყოს აბსოლუტივი.** ნამყოს აბსოლუტივი იწარმოება -**ნა** (საკ. ბეჟ.), -**ნ** (ჰუნზ.) სუფიქსით, რომელიც საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში აწმყო ძირითადის ფუძეს დაერთვის.

ნამყოს აბსოლუტივის უარყოფითი ფორმები იწარმოება უარყოფითი ნამყო ძირითადის ფუძისაგან -**ჰე/წე** (კაპ., ხაშ., ტლად.), -**ეე**, -**ჰე-ე** (ტლად.), -**ტ** (ჰუნზ.) სუფიქსების საშუალებით.

თავი VIII. უდეტრები

8.1. **ზოგადი.** „უდეტერი“-ს (ზმნისართი, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებულ) შემოტანა და გრამატიკულ ტერმინად დამკვიდრება დაკავშირებულია აკ. შანიძის სახელთან [იხ. შანიძე 1980 : 587]. მართალია, იგი უცხო ენის (ბერძ. οὐδέτερος „არც ერთი მათგანი“) მონაცემია, მაგრამ სრულად გამოხატავს ამგვარ გრამატიკულ ოდენობათა არსს და მარჯვე მათი ზოგადი ფუნქციური მნიშვნელობის გადმოსაცემად.

8.2. **ზმნისართი.** სტრუქტურის მიხედვით, ბეჟიტურ ენაში ზმნისართი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) **მარტივი**, 2) **რთული**.

1) **მარტივი** ჩანს ქვემოთ მოყვანილი ზმნისართები: **კეტ** (ჰუნზ. კოტ "id.") „კარგად“, **ჰე** „ახლა“, **ბეთა** „შემდეგ“ და ა. შ.

2) **რთული** ზმნისართები ნაწარმოებია: ა) არსებითი სახელისგან: **მეხ** „დრო“ – **მეხ-მეხ-ლა-ც** „ხანდახან“...; ბ) რიცხვითი სახელისაგან: **სიდ** „ერთი“ – **სიდ-დნ** „ერთ ადგილას...; გ)

ზმნისართისაგან: ბეთა (ჰუნზ. ბედო) „შემდეგ“ – ბეთა-ლა (ჰუნზ. ბედნ-დო) „იმ მხარეს“...

ბეჟიტურ ენაში დასტურდება ხუნძურისაგან ნასესხები ზმნისართები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ადაპტირებულია, მაგ.: ჰეხ (ტლ. ხეხმა) (< ხუნძ. ხეხ „id.“) „სწრაფად“, დნჰ (< ხუნძ. დანჰ „id.“) „ცოტა“, ტოკაბ (< ხუნძ.) „კიდევ“...

8.2.2. შინაარსის მიხედვით, ზმნისართი იყოფა: 1) ადგილის, 2) ვითარების, 3) დროის, 4) კითხვის, 5) ზომა-წონისა და ოდენობის, 6) მიზნისა და მიზეზის ზმნისართებად.

8.3. თანდებული. ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით, პირობითად თანდებულთა ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: ა) ზმნისართული (თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართები) თანდებულები და ბ) საკუთრივ თანდებულები [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 279].

ა) ზმნისართულ თანდებულთა ჯგუფს მიეკუთვნება: ტოდო „ზედ“, ლ'ირო (ჰუნზ. ლ'გრნ) „ქვეშ“, ჰიცა (ჰუნზ. იჩო) „ახლო“, ადნჰ (ჰუნზ. არტოდო) „უწინ“, „ძველად“, მულანთჰ (ჰუნზ. მულალ') „უკან“, ცედო (ჰუნზ. ცედუ) „შიგ“...

ბ) საკუთრივ თანდებულებად მიჩნეულები პირობითად ორ ქვეჯგუფად გაიყოფა: ა. ცალკემდგომი (მიცაც „ნაცვლად“, ოლრ „გულისთვის“...), ბ. სახელს შეხორცებული (ბეჟ. ჩოდ „ვით“, ჰუნზ. -ჟბა „გამო“).

8.4. კავშირი. ფუნქციის მიხედვით, გამოიყოფა კავშირების ორი ძირითადი ჯგუფი: 1) მაერთებელი და 2) მაქვემდებარებელი.

1) მაერთებელი კავშირებიდან გვხვდება: ა) მაჯგუფებელი: -ნა (საკ. ბეჟ.), -ნო/-ნ (ჰუნზ.) „და“; ბ) მაცალკევებელი კავშირი: ადა || აგი || აალ'უნი (ჰუნზ. აანი, აა) „ან“; გ) მაპირისპირებელი კავშირია ამმა (< ხუნძ. < არაბ.) „მაგრამ“, „თუმცა“.

2) მაქვემდებარებელი კავშირებიდან გამოიყოფა: -ლ „როდესაც“, -ცალ „სანამდის“, -ყოღნ „რომ“, -და „თუმცა“ და მისთ.

8.5. ნაწილაკი. ფუნქციის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი: 1) კითხვითი ნაწილაკები: -დ || -დი (საკ. ბეჟ.), -ი (ჰუნზ.), ეგგუ „ნუთუ“; 2) უკუთქმითი ნაწილაკები: აა „არც“; 3) სიტყვასიტყვითი ნაწილაკი: -ლ'ო (ჰუნზ. -ლ'ე) „-ო“; 4) მოდალური ნაწილაკები: დად. ბეთთა (ჰუნზ. ბედო) || ონ || ჰნჰ (ჰუნზ. ენ) „დიახ“, „ჰო“ – უარყ. გნჰ (ჰუნზ. გრჰ, ღარბ. გრჩ) „არა“...; 5) პირობით-ნატვრითი ნაწილაკები: -დანა „თუნდაც“, ოღონთ „ნეტავ“, „ნეტავი კი“, -და || -სო (ჰუნზ. ყნდნ) „თუკი“...; 6) შედარებითი ნაწილაკები: -ცოდ (ტლ. ჩორ, ჰუნზ. -გრ) „ვით“, -ლ'იოდ || -დას || -დადნს „მსგავსი“...; 7) გაძლიერებით-მითითებითი ნაწილაკები: ალო „-ღა“, „რა“, უალე! „აბა“, „მოდით ერთი“...; 8) შესაძლებლობით-მტკიცებითი ნაწილაკები: ბალიქი (საკ. ბეჟ.), ბა (ჰუნზ.) „შესაძლოა“, ჰუნზ. ზა „ალბათ“, ეჩე „გეთაყვა“...; 9)

განუსაზღვრელობით ნაწილაკი: ჰუნზ. -დი „-მე“...

8.6. შორისდებული. შინაარსის მიხედვით, შორისდებულები, როგორ პრაგმატიკული მნიშვნელობის ერთეულები, შეიძლება გაიყოს რამდენიმე ჯგუფად: 1) **გრძნობა-განცდათა გამომხატველი შორისდებულები;** 2) **ნება-სურვილის გამოსახატავი შორისდებულები;** 3) **ხმაბაძვითი შორისდებულები.**

1) **გრძნობა-განცდათა გამომხატველი შორისდებულები:** ჰულა „აი“ (გამოხატავს გაოცებას), უბაბა „ვაი-ვაი-ვაი“ (გამოხატავს გაოცებას და წუხილს), უერე 1. „ჰეი“, 2. „აბა“, ცე-ცე „ოჰ!“ (გამოხატავს გაოცებას), ჰორა „აბა“, უალადა „ოჰ“...;

2) **ნება-სურვილის გამოსახატავი შორისდებულები:** რუა, რუა „ჩუ, ჩუ“, ბებე! „ფროხილად!“ ტნაა (ძროხის მოსახმობი ხმიანობა)...

3) **ხმაბაძვითი შორისდებულები:** წიდაჰ-წიდაჰ „წიჰ-წიჰი“, ბე „ბლავილი“, ბუჰ „ბუუ“ (ხარის ბუბუნი) და მისთ.

ეს საკითხი მრავალმხრივ არის საინტერესო, ამიტომაც შორისდებულთა გაღრმავებული კვლევა-ძიება სასარგებლო იქნებოდა ხმაბაძვითი ლექსიკის დასამუშავებლად და ენობრივი უნივერსალების გამოსავლენად.

სინტაქსი

თავი IX. ატრიბუტული სინტაგმა

9.1. **სინტაქსის საგანი და მიზანი.** სინტაქსის შესწავლის საგანს წარმოადგენს წინადადება, რომელიც შესიტყვებათა ერთობლიობაა. შესიტყვების დონეზე გამოიყოფა სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულები, რომლებსაც ტრადიციულად წინადადების წევრებს უწოდებენ. წინადადების მთავარ წევრებად გამოიყოფა პირმომართი (კლასმომართი) აქტანტები – **შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება**, ხოლო შემასმენელს (პრედიკატს) მოეპოვება თავისი ატრიბუტი – გარემოება, ქვემდებარესა და დამატებას კი – განსაზღვრება. წინადადების ეს კომპონენტები სინტაქსურად რელევანტურნი არიან, მაგრამ წინადადების სტრუქტურაში გვხვდება ისეთი კომპონენტებიც (კავშირი, მიმართვა, ჩართული...), რომლებიც რელევანტური წევრებისაგან სტრუქტურულად იზოლირებულნი არიან, ამიტომ მათ პირობითად შეიძლება სინტაქსურად ირელევანტური წევრები ვუწოდოთ.

შესიტყვებაში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ტიპი: ა) **ატრიბუტული სინტაგმა**, რომლის უშუალო შემადგენლებს წარმოადგენენ სახელები: მსაზღვრელი (ატრიბუტი) და საზღვრული (სუბსტანტივი); ბ) **პრედიკატული სინტაგმა**, რომლის ნაწილებსაც ზმნა და მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სახელი და ზმნისართი ქმნიან. ატრიბუტული სინტაგმისათვის არსებითია შესიტყვების წევრთა ურთიერთდამოკიდებულების სახეები და მათი სტრუქტურული მოდელები.

ატრიბუტული სინტაგმისთვის ისევე, როგორც მთლიანი წინადადებისათვის, არსებობს ცენტრალური კომპონენტი (ბირთვი) და მარგინალური კომპონენტი (ატრიბუტი), მაგ.: მალ-ლარასადანის **იცილო იმო** ფულონა გემ (კავ.). „მოლა ნასრედინის **მოხუცი დედა** მომკვდარა”.

ზემომოყვანილ წინადადების შესიტყვების წყვილის **იცილო იმო** („მოხუცი დედა”) **იმო** („დედა”) შესიტყვების ბირთვს ქმნის, ხოლო **იცილო** („მოხუცი”) მისი ატრიბუტია, თუმცა ეს გრამატიკულად არ არის რელიზებული.

9.2. ატრიბუტული სინტაგმის კომპონენტთა თანამიმდევრობის საკითხი. ბეჟიტურ ენაში ატრიბუტული სინტაგმა ძირითადად პრეპოზიციური (ცენტრისკენული) წყობისაა, თუმცა მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური (ცენტრიდანული) რიგიც არ არის აკრძალული: ა) **პრეპოზიციური წყობა** (საკ. ბეჟ. ნუქრ უო „მშიერი ძაღლი”) გაბატონებულია; ბ) **პოსტპოზიციური წყობა** (ჰუნზ. ქიდ დიდე „გოგონავ ჩემო”) ფაკულტატიურ ხასიათს ატარებს.

9.3. ატრიბუტული სინტაგმის წევრთა სინტაქსური ურთიერთობა. სინტაგმა, შემადგენელ წევრთა რაოდენობის მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა: ა) **ორწევრიანი სახელური შესიტყვება**: კეტო ტექ „კარგი წიგნი”, დიდე ქიდ „ჩემი ქალიშვილი”...; ბ) **მრავალწევრიანი სახელური შესიტყვება**: იჩილო სუკოს ჰალტი (ტლად.) „მოხუცი კაცის საქმე”, არტო მანყერუ სგდ ჟრაჩლილ რუჟორუ ცალამალ'ილოს ხაზარ (ჰუნზ.) „ადრე მოსული ერთი ექიმის გაკეთებული საკვირველების ამბავი” და ა. შ.


ზოგადად ატრიბუტულ სინტაგმაში მსაზღვრელ-საზღვრულის კავშირის სინტაქსური სახეებია: **შეთანხმება, მართვა და მირთვა.**

9.3.1. შეთანხმება. პრეპოზიციური წყობის დროს, რომელიც გაბატონებულია საკვლევ ენაში, შეთანხმებას ადგილი აქვს კლასსა და რიცხვში. სქემატურად:


კლასი	მხოლოდბითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	ლექსიკური მნიშვნელობა
I	მ-იყერუ ოჟე	ბ-იყერ-არ ცოჟ-და	„პატარა ბიჭი”
II	მ-იყერუ ქიდ	ბ-იყერ-არ ქიბ-ბა	„პატარა გოგო”
III	ბ-იყერუ ხობე	რ-იყერ-არ ხობ-ლა	„პატარა ხე”

IV	რ-იყერუ ჯოჯო	რ-იყერ-არ ჯოჯო-ჭა	„პატარა სახლი“
----	--------------	-------------------	----------------

ცნობილია, რომ შესიტყვების წევრთა ურთიერთკავშირი იერარქიულია, რადგანაც მათგან ერთი მმართველი (გაბატონებული) კომპონენტია, ხოლო მეორე (resp. სხვები) მართული (დაქვემდებარებული). ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება სტემების სახით ასე გამოიხატოს:



პირველი შესიტყვების ბირთვი არის **იძო** („დედა“), რომელიც სინტაქსურად უკავშირდება როგორც ერთ პოტენციურ მსაზღვრელს (**იცილო** „მოხუცი“), ისე მეორე პოტენციურ მსაზღვრელსაც (**მალლა რასადანის** „მოლა ნასრედინის“). ამის გათვალისწინებით, სამ- და მეტკომპონენტიანი სინტაგმა კვანძის სახითაც შეიძლება გამოიხატოს, რომელშიც იქნება როგორც შეთანხმება ბრუნვაში (**იცილო იძო** „მოხუცი დედა“), ისე მართვა (**მალლა რასადანის იძო** „მოლა ნასრედინის დედა“):



ატრიბუტული სინტაგმა მორფოსინტაქსური მოვლენაა, რადგან მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრუნების სისტემასთან. ირკვევა, რომ ნათესაობითში მდგარი მსაზღვრელი უფრო შეთანხმებას ავლენს, ვინემ მართავს. ეს მტკიცდება იმით, რომ სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობაში უმთავრესია არა მარტო მათი სტრუქტურული სიმჭიდროვე, არამედ ფუნქციურ-სემანტიკურიც. რამდენადაც საზღვრულმა აქტანტ-სუბსტანტივმა მორფოსინტაქსური წესებით ისე უნდა შეითანხმოს მსაზღვრელ-სუბსტანტივი, რომ კავშირი მათ შორის მყარი იყოს, ამისთვის გრამატიკული გამოხატულების აბსოლუტურობა საჭირო არ არის. შესაძლოა, ამიტომ ხდება სინტაქსური კავშირის მოდუნება

სახელურ შესიტყვებაში.

ბეჭიტურ ენაში ატრიბუტული სინტაგმის უშუალო შემადგენელთა შორის რელევანტური ოპოზიცია მაინც მყარდება, ერთი მხრივ, სახელობითში მდგარი მსაზღვრელისა და, მეორე მხრივ, დანარჩენ ბრუნვებში მდგარი მსაზღვრელის ფორმებს შორის.

სიმპტომატურია, რომ **სუბსტანტივ-კომპონენტებიანი ატრიბუტული სინტაგმა ბეჭიტურ ენაში შეთანხმების სახით წარმოგვიდგება**. ნათესაობითში მდგარი მსაზღვრელი გამოხატულების პლანში ნაწილობრივად მარკირებული სახით არის რეალიზებული, რაც შეპირობებულია არაერთდროული და არაერთგვაროვანი მორფოსინტაქსური ცვლილებებით.

9.3.2. **ზმნისართული შესიტყვება**. ზმნისართულ შესიტყვებაში წამყვან როლს მეტწილად ზომა-წონა-ოდენობისა და ვითარებითი ზმნისართების სათანადო კომბინირებით მიღებული სინტაგმის მეორე კომპონენტი ასრულებს, მაგ.: წაყ **დილ'ა** „ძალიან ძლიერად“, წაყ **ლახხი** „ძალიან ბევრი“ და სხვ.

9.3.3. **გათიშული სახელური შესიტყვება**. ატრიბუტული სინტაგმის კვლევისას აქტუალურია ორი ძირითადი საკითხი: ა) შესიტყვების კომპონენტთა რიგი; ბ) შესიტყვების კომპონენტთა ურთიერთდამოკიდებულება. ბუნებრივია, მათი დაცალკეება მათ შორის ურთიერთობის გაწყვეტას არ ნიშნავს. კერძოდ, პოსტპოზიციური და გათიშული საზღვრულ-მსაზღვრელის დროს სინტაქსური კავშირი (შეთანხმება, მართვა) მყარია, ხოლო პრეპოზიციური წყობის (მსაზღვრელ-საზღვრულის) დროს საზღვრულის გავლენის ძალა მსაზღვრელზე შესუსტებულია (მსაზღვრელი ბლოკირებულია) ან მთლიანად მოშლილია.

გათიშული ატრიბუტული სინტაგმის უშუალო შემადგენელთა შორის შეიძლება მოექცეს წინადადების რომელიმე წევრი (ზმნა, ზმნისართი...) ან მთლიანი წინადადება, მაგ.: ჰუნზ. **ყანუ გუჰლაჯ ზუყუნ ლო სგდიმრ ჰჰს იყერუ** [ვან 1995 : 152, 9] „**ორი ქურდი ყოფილა, ერთმანეთის მჯობნი**“.

თავი X. პრედიკატული სინტაგმა და სინტაქსური კონსტრუქციები

10.1. **ზოგადი**. პრედიკატული სინტაგმა არის მინიატურული წინადადება, რომლის დამატებითი გავრცობა შესაძლებელია. მასში ზმნა წარმოადგენს ბირთვს, რომელთანაც აქტანტები სინტაქსურ-სემანტიკურად არიან დაკავშირებული. გამოხატულების პლანში ბეჭიტური პრედიკატული სინტაგმის წევრებს შორის სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულების სახეობა: ა) მართვა, ბ) შეთანხმება, გ) მირთვა.

10.2. **ზმნური შესიტყვების წევრთა წყობა**. ზმნური შესიტყვების წევრებად გვევლინები-

ან, ერთი მხრივ, ზმნა-შემასმენელი თავისი მრავალგვარი რეალიზაციით, მეორე მხრივ კი, აქტანტები, რომლებიც ზმნის ვალენტობას აპირობებენ. შესიტყვებაში სიტყვათა რიგი, როგორც ცნობილია, არის ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობის მახასიათებელი. ბეჟიტური ენის ზმნურ შესიტყვებაში გაბატონებულია პოსტპოზიციური წყობა (ქვემდებარე + შემასმენელი), ხოლო შებრუნებული წყობა (შემასმენელი + ქვემდებარე) – მასზე დამოკიდებული, მაგ., საკ. ბეჟ. ბზბზ გემ „პური არის“, დიდე ყამი კოკოცას „მე თავი მტკივა“ და ა. შ.

10.3. პრედიკატული სინტაგმის სტრუქტურა. პრედიკატული სინტაგმა შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან როგორც ერთმანეთთან, ისე შესიტყვების ბირთვთან – შემასმენელთან. ბეჟიტურ ენაში ერთვალენტიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი შეიძლება კლასის ექსპონენტით მარკირებულიც იყოს და არამარკირებულიც, მაგალითად, ჰუნზ. ქიდ **მ-უტურ „გოგომ (ზედმიწ. „გოგო“) დაიძინა“; ქიდ („გოგო“) საკუთარ გრამატიკულ მ-ნიშანს აჩენს ზმნაში, ხოლო გარდაუვალი ზმნა, თავის მხრივ, RS-ს (ქიდ „გოგო“) მართავს სახელობით ბრუნვაში. იფულ (RS/ERG) ქექ (RO^ა/NOM) ილ'ერ „დედამ სიმღერა იმღერა“ – ამ შესიტყვების ბირთვი – გარდამავალი ზმნა ილ'ერ („იმღერა“) კლასიფიკატორს მოკლებულია, თუმცა აგენსს მართავს ერგატივში, ხოლო პაციენსს – სახელობითში. მაშასადამე, ირკვევა, რომ რიცხვში შეთანხმებისათვის კლასიფიკატორის უქონლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. თუ უახლოეს ობიექტს რიცხვს შევუცვლით (იფულ ქექ-ლა იტყერ „დედამ სიმღერები იმღერა“), მაშინ რიცხვში ცალმხრივ მარკირებულ შეთანხმებას მივიღებთ.**

2. გრძობა-აღქმის გამოხატველ ზმნათა (Verba Sentendi) პრედიკატულ სინტაგმაში ქვემდებარე წარმოადგენს ექსპერიენსერს და იგი მიცემითი ბრუნვის ფორმით რეალიზდება, ხოლო პაციენსი (O^d), რომლის კლასიც ზმნაში აღინიშნება, სახელობით ბრუნვაში დგას. რეალური სუბიექტის (ექსპერიენსერის) აღუნიშვნელობა ცხადყოფს მის განკუთვნებას გრამატიკული სუბიექტისადმი.

ბეჟიტური ზმნის არსებითი მახასიათებელია კლასისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები და მათი მარკირების არცთუ რთული სისტემა. ამ ტიპის **ორვალენტიანი** კლასიფიკატორიანი გარდამავალი ზმნა სახელს მართავს: ა) ქვემდებარეს – ერგატიულ ბრუნვაში, ბ) პირდაპირ დამატებას – სახელობით ბრუნვაში. ეს დამოკიდებულება ფორმულის სახით ასე ჩაიწერება: Ag + Pr + Pat (resp. RS + Ver + RO). საილუსტრაციო მაგალითები: საკ. ბეჟ. ჯოკდაგი-და (Ag/ERG) ჩახჩო ქადაა (Pat/NOM) „მოწაფე წერს წერილს“, აჰმად-ი (Ag/ERG) რადიდო (Pat/NOM) **მ-იტილლო „აჰმედმა რადიო დაშალა“...**

3. სამვალენტიანი ზმნის აქტანტებს წარმოადგენენ: ქვემდებარე (RS), პირდაპირი დამატება (RO^d) და ირიბი დამატება (RO^{ind}). ორვალენტიანი და სამვალენტიანი ზმნის სინტაგმაში მეტ სინტაქსურ ძალას პირდაპირი დამატება ავლენს, რადგანაც მისი ნიშანია წარმოდგენილი

ზმნაში, ე. ი. სახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში. : საკ. ბეჟ. სი-დი (RS/ERG) ყონა სუკო (RO^d/NOM) ბ-ეაქილლო „ერთმა ორი კაცი წააქცია“. თუ პირდაპირ დამატებას მხოლოობით რიცხვში გადავიყვანთ, ზმნაში ამ უკანასკნელის მხოლოობითი რიცხვის კლასის ნულოვანი ალომორფი გვექნება: სი-დი ჰო^ნს სუკო ბ-ეაქილლო (კაპ.) „ერთმა ერთი კაცი წააქცია“.

სამვალენტიან გარდამავალ უკლასნიშნო ზმნაშიც ზმნისა და სათანადო აქტანტის კავშირი შესუსტებულია: სახელი ზმნას ვერ ითანხმებს კლასსა და რიცხვში, თუმცა ზმნა სახელს მართავს ბრუნვაში (RS-ერგატივში, RO^{ind} – მიცემითში ან ლოკატივში, RO^d – სახელობითში), მაგ.: ჰუნზ. ოლ'უ-ლ (RS/ERG) ნელ'ზრ ტენ (RO^d/NOM) ესტი-გ (RO^{ind}/AD) „მან მისცა წიგნი ძმას“, შდრ. ესტი-ლ (RS/ERG) ბ-ოხორ ესტრ (RO^{ind}) ზატაჲ (RO^d/NOM) „ძმამ დას ბეჭედი უყიდა“ და მისთ.

მეორე წინადადებაში გვაქვს როგორც მართვა (ზმნა ქვემდებარეს მართავს ერგატივში, ირიბ დამატებას – მიცემითში, პირდაპირ დამატებას – სახელობითში), ისე შეთანხმება (სახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში).

10.4. სინტაქსური კონსტრუქციები. პრედიკატულ სინტაგმაში, აქტანტთა ბრუნვების გავალისწინებით, გამოიყოფა შემდეგი სინტაქსური კონსტრუქციები: 1) **ნომინატიური**, 2) **ერგატიული**, 3) **დატიური**, 4) **პოსესიური**, 5) **ლოკატიური**. თითოეული ეს კონსტრუქცია დამოკიდებულია რეალური სუბიექტის ან მასთან გათანაბრებული აქტანტის (აგენსის) ბრუნვაზე და სახელწოდებაც ამის მიხედვით აქვს შერქმეული.